ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 11 აგვისტო, 2017 №189 (7424) ფასი: 50 თეთრი

მიმდინარე წელს ცხოველთა მონიტორინგის სააგენტომ 282 გველი დაიჭირა

გვ.5

10 აგვისტოდან

100 წიგნი

ადამიანები, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო

პინოჩეტი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

გვ.2

ცოტნე გამსახურდია: „ივანიშვილსა და მის ხელისუფლებას ეს ძალიან ძვირად დაუჯდება“

პირველი პრეზიდენტის მკვლელობის საქმე სტრასბურგში ნათა

მამუკა გამყრელიძე: „ოპოზიციის ნაწილს ხელისუფლების შეცვლა არ სურს“

გვ.5

გვ.4

გია ხუხაშვილი: „ივანიშვილის დაბრუნებას არ გამოვრიცხავ“

„ვაშინგტონის მორიგი მხარდაჭერა


გვ.5

რატომ ჩავიდა სინამდვილეში პუტინი აფხაზეთში

„კიმ ჩენ ინს ამერიკის წყობილებიდან გამოყვანა უნდა“

გვ.4

გვ.3

რა ხდება „თბილისი მოლის“ კარფურში — რატომ დაჯარიმდა სუპერმარკეტი?

ISSN 1987-9385

2017, 11 აგვისტო, №189

რატომ მფარველობს „ქართული ოცნება“ ზვიად გამსახურდიას მკვლელებს

ცოტნე გამსახურდია: „ივანიშვილსა და მის ხელისუფლებას ეს ძალიან ძვირად დაუჯდება“

შორენა მარსაგიშვილი

პირველი პრეზიდენტის მკვლელობის საქმე სტრასბურში წავა

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმის გამოძიება 24 წელზე მეტია გრძელდება. ამ პერიოდში ქვეყანამ რამდენიმე მთავრობა გამოიცვალა, მაგრამ საქმის გამოძიებას საშველი არ დაადგა.

შევარდნაძის ხელისუფლებამ გასაგები მიზეზების გამო ამ საქმის გამოძიება არ ისურვა. პირველი პრეზიდენტის საქმის გახსნის დიდი სურვილი არც ნაციონალებს ჰქონიათ. წინამორბედებს არც „ქართული ოცნება“ ჩამორჩა და ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული საქმე კვლავ თაროზე დარჩა შემოდებული.

2015 წელს საქმეს მკვლელობის კვალიფიკაცია მიენიჭა. ამის მიუხედავად, საგამოძიებო უწყებას საგამოძიებო მოქმედებები არ ჩაუტარებია. ამის გარდა,

პროკურატურა უარს აცხადებს, გამსახურდიას ოჯახის წევრები გარდაცვლილის უფლებამონაცვლედ ცნოს.

ცოტნე გამსახურდია უკვე წლებია ითხოვს, მამის მკვლელობის საქმეში დაზარალებულად ცნონ, რაც მას საშუალებას მისცემს, საქმეში არსებულ მასალებს გაეცნოს. მართალია, ბრძოლას აგრძელებს, მაგრამ ცოტნე გამსახურდიას იმედი აღარ აქვს, საქართველოში სამართალი იპოვოს.

რატომ აპირებს სტრასბურში წასვლას, რატომ ჭიანურდება ზვიად გამსახურდიას საქმის გამოძიება, საქმის რა დეტალებია ოჯახისთვის ცნობილი, რას ყვებიან მოწმეები, რა პირობა მისცა ბიძინა ივანიშვილმა? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ცოტნე გამსახურდია ესაუბრება.

ცოტნე გამსახურდია:

– რამდენიმე წლის წინ თავად ბიძინა ივანიშვილი შემპირდა, რომ ამ საქმის გამოძიებისთვის ყველაფერს გააკეთებდა. რამდენიმე წლის განმავლობაში პოლიტიკური ციკლებიდან გამომდინარე, გვატყუებდნენ – მთავარი პროკურატურა პერიოდულად აქტიურდებოდა, გვიქმნიდნენ ცრუ მოლოდინებს.

სხვათა შორის, გვაშანტაჟებდნენ კიდევაც, გვთხოვდნენ, რომ ჩვენი ადვოკატები მათთვის სასურველი ადვოკატებით ჩაგვენაცვლებინა. ითხოვდნენ, რომ ამ საქმეზე საჯაროდ პროტესტის გამოთქმა შეგვეწყვიტა.

– გვაშანტაჟებდნენო, ამბობთ და ცოტნე გამსახურდიას დაშანტაჟება ასეთი ადვილია ვითომ?

– ადრე ვერ ხვდებოდნენ, რომ ჩემთან ეს მეთოდები არ გამოუვიდოდათ, ახლა მიხვდნენ, ვისთანაც აქვთ საქმე. ფაქტი ის არის, რომ ეს პირველი პრეზიდენტის მკვლელობის საქმე თაროზეც არ არის შემოდებული. დღეის მდგომარეობით, არანაირი უფლებები არა გვაქვს, არ შეგვიძლია, საგამოძიებო ქმედებების საქმის კურსში ვიყოთ, დავიცვათ ჩვენი კანონიერი უფლებები. ამას მათ პირდაპირ ავალდებულებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და ასევე ევროპის სასამართლოს პრაქტიკა. მოგეხსენებათ, რომ ეს ყველაფერი საქართველოს ხელისუფლებისთვის არაფერს ნიშნავს, მაგრამ მაინც.

ჩნდება კითხვა, რატომ არ აწყობთ ამ საქმის გამოძიება. აქ მე ერთი პასუხი მაქვს: როდესაც რაღაცას არ იძიებენ, შესაბამისად, რაღაცას მალავენ.

– თქვენი აზრით, რას ან ვის მალავენ?

– მალავენ ამ საქმის შემსრულებლებს, გარკვეულ დაჯგუფებებს, რომლებთანაც დღემდე მჭიდრო კავშირი აქვს ბიძინა ივანიშვილსა და მის გარემოცვას. მე ვგულისხმობ შევარდნაძის დროინდელ ფინანსურ და პოლიტიკურ ე.წ. ელიტებს. სწორედ მათ აფარებენ ხელს. ხელის დაფარება მიდის რუსეთის სპეცსამსახურებზეც, რომელთა აქტიური მონაწილეობითაც განხორციელდა ეს ყველაფერი.

ჩვენ არაოფიციალურად ვიცნობთ ამ საქმეს და ვიცით, რა დევს იქ. იქ დევს საშინელი მტკიცებულებები. ამის მიუხედავად, საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობისა და მისი მიმდინარეობის არანაირი უფლება არა გვაქვს.

– რა მტკიცებულებებზეა საუბარი?

– საქმეში დევს უამრავი მტკიცებულება და სამხილი იმისა, რომ ეს იყო მკვლელობა. იქ არის ტერორიზმის ფაქტებიც – ზვიად გამსახურდიას ერთგული თანამებრძოლების ცოლ-შვილის მძევლად აყვანა, მათ კვალზე გასვლის მიზნით. არის მკვლელობები, ცხედრების განადგურება, უამრავი სხვა დანაშაულია.

ესენი კი ამას არ იძიებენ, არ ატარებენ შესაბამის ექსპერტიზას და არ ითვალისწინებენ ალტერნატიული ექსპერტიზის მიწოდებულ დასკვნებს. მოკლედ, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ეს საქმე დაიშალოს.

– ხელისუფლებისთვის ის ფაქტი არაფერს ნიშნავს, რომ საქმე ქვეყნის პირველი პრეზიდენტის მკვლელობას ეხება? შესაძლოა ზვიად გამსახურდია არ მოგწონდეს, მაგრამ ამ საქმის გამოძიება ქვეყნისთვის პრესტიჟის საკითხია.

– რა თქმა უნდა, ეს მათთვის არაფერს ნიშნავს. როცა პირველი პრეზიდენტის საქმეზე ასეთი ამბავია, რომელი სხვა საქმის გამოძიების იმედი უნდა გქონდეს. სამართლებრივი წყობა ჩვენ არა გვაქვს და საქმის გამოსაძიებლად აუცილებელია პოლიტიკური ნება.

– ამ საქმის გამოძიების პოლიტიკური ნება არ არის, მაგრამ რატომ არ აქტიურობს საზოგადოება, ხალხი რატომ არ არის დაინტერესებული, რომ პირველი პრეზიდენტის მკვლელობის საქმე გამოიძიონ?

– მე ვერ ვიტყვი, რომ ეს საქმე ყველასთვის სულ ერთია. ხალხი ითხოვს ამ საქმის გამოძიებას.

– თუმცა ამ მოთხოვნით მე ქუჩაში გამოსული არავინ მინახავს. არადა, ძალიან ბევრ საკითხზე გამოდიან ქუჩაში.

– საზოგადოების მოტივებზე ვერ ვილაპარაკებ, ახლა ამაზე საუბარი საჭიროდ არ მიმაჩნია. ჩვენი საზოგადოება რომ უფრო ადრე გამოსულიყო ქუჩაში, უფრო ადრე დაეცვა თავისი უფლებები, უკეთესი იქნებოდა.

ჩვენ ერთი რამე ვერ გაგვიგია, რომ სხვისი უფლებების დაცვა საკუთარის დაცვასაც ნიშნავს. მე, პირადად, მთელი ცხოვრება ამ პრინციპით ვხელმძღვანელობდი და მომავალშიც ასე გავაგრძელებ.

როდესაც ხმას არ იღებ, როცა ხედავ, რომ სხვას სახელმწიფო მანქანა ცუდად ექცევა, მერე ნუ გაგიკვირდება, თუ თავადაც მსგავს მდგომარეობაში აღმოჩნდები.

– თქვენმა ადვოკატმა განაცხადა, რომ საქმე ევროსასამართლოში წავა. აქ სიმართლის პოვნის იმედი აღარ გაქვთ?

– როცა აქ ყველა ინსტანციას მოვივლით, საქმე აუცილებლად წავა სტრასბურში. ივანიშვილის პროკურატურა და სუსი, გარდა იმისა, რომ ამ საქმეს არ იძიებენ, საქმის დაშლას ცდილობენ.

გითხარით, რომ არაოფიციალურად ვიცნობთ ამ საქმეს და გვაქვს გარკვეული მასალები, გვაქვს ამონარიდები და ამონაწერებიც, რასაც საზოგადოებას პერიოდულად მივაწვდი ხოლმე. წინასწარ მინდა იცოდეთ, რომ იქ უმძიმესი ეპიზოდებია.

ბრმა უნდა იყო, რომ ვერ დაინახო, ეს იყო სწორედ მკვლელობა და დევნის ოპერაცია. ეს ოპერაცია შევარდნაძის ბანდებმა და რუსეთის სპეცსამსახურებმა ერთობლივად ჩაატარეს.

ამის დასამტკიცებლად აბსოლუტურად ყველა მტკიცებულება არსებობს, უბრალოდ, პროკურატურა იგნორირებას გვიწევს.

მიმდინარე წელს მთავარ პროკურორს მეხუთედ მივმართე. ეს მიმართვები მის კაბინეტშია, მაგრამ საქმის წარმოება დღესაც არ არის მიწერილი საქმის წარმოება პროკურორზე, რის შემდეგაც ისინი ვალდებული არიან, 48 საათში გაგვცენ პასუხი.

ბევრი ადამიანისთვის ნაცნობი სიტუაციაა, რომ საქართველოში სამართლის პოვნა შეუძლებელია. ამიტომაც ბრძოლა გაგრძელდება ევროსასამართლოში.

ძალიან, ძალიან ძვირი დაუჯდება ბიძინეს და მის გოშიებს ეს ყველაფერი.

ბოლო ერთ თვეში მაშველებმა შავ ზღვაზე 176 ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მაშველებმა ბოლო ერთი თვის განმავლობაში შავ ზღვაზე 176 ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინეს. მათ შორის 106 საქართველოსა და 70 სხვა ქვეყნის მოქალაქეა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში განუცხადეს, საანგარიშო პერიოდი 1-31 ივლისს მოიცავს. სააგენტოს ინფორმაციით, ამ პერიოდში, მაშველების მიერ დამსვენებლების ზღვიდან უვნებლად გამოყვანის ყველაზე მაღალი სტატისტიკური მაჩვენებელი ურეკში დაფიქსირდა, კერძოდ, მაშველებმა, პროფესიონალური და ოპერატიული რეაგირების შედეგად, 62 მოქალაქე (საქართველოს 23 და სხვა ქვეყნის 39 მოქალაქე) გადაარჩინეს.

წყალზე მაშველებმა ქობულეთში, ეფექტური რეაგირების შედეგად, განსაცდელში მყოფი 24 ადამიანი, მათ შორის, უცხო ქვეყნის 9 მოქალაქე ზღვიდან გამოიყვანეს. ბათუმსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სანაპირო ზოლზე წყალზე მაშველებმა დახმარება 41 პირს – საქართველოს 25 და სხვა ქვეყნის 16 მოქალაქეს გაუწიეს. შსს მაშველებმა ანაკლიასა და განმუხურში 45 ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინეს. მათ შორის იყო საქართველოს 40 და სხვა ქვეყნის 5 მოქალაქე. ფოთში ზღვაში განსაცდელში მყოფი ადამიანების გადარჩენის 4 ფაქტი დაფიქსირდა, აქედან 1 უცხო ქვეყნის მოქალაქეა.

საზღვაო სეზონთან დაკავშირებით, საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო მოსახლეობას მოუწოდებს, ყურადღება მიაქციონ სანაპირო ზოლზე დამონტაჟებულ ბანერებსა და ამკრძალავ ნიშნებს, არ გასცდნენ მაშველთა პატრულირების არეალს და დაემორჩილონ მათ მითითებებს, ნუ შევლენ წყალში არაფხიზელ მდგომარეობაში/ნაბახუსევზე, ყურადღება მიაქციონ ბავშვებს/მოზარდებს, ნუ დატოვებთ მათ მეთვალყურეობის გარეშე, კატეგორიულად აკრძალულია წყალში შესვლა შტორმის, უამინდობისა და შეზღუდული ხილვადობის დროს. ასევე თავი შეიკავონ წყალში შესვლისგან იქ, სადაც არ არის მოწყობილი სანაპირო ზოლი, არ არის ხალხმრავალი ადგილი, არ დგას მიმანიშნებელი და ამკრძალავი ნიშნები, არ არის შექმნილი პირობები უსაფრთხო ცურვისთვის.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

პოლიტიკაში — ადამიანებისა და ქვეყნის სიყვარულით!

როდესაც ადამიანი პოლიტიკაში მიდის, მისი ცხოვრება საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ექცევა. ხალხს თითქოს ხელისგულზე უდევს მისი პირადი თუ პოლიტიკური ნაბიჯი; განიხილავს, აფასებს, იწონებს, აკრიტიკებს და იმედით შესცქერის...

კახა კალაძის მიმართ საყოველთაო ინტერესი ჯერ კიდევ მისი საფეხბურთო კარიერის დასაწყისში გაჩნდა. ნიჭიერმა, მიზანსწრაფულმა ბიჭმა, რომელსაც ფეხბურთისა და სპორტის სიყვარული მამის – სამტრედიის „ლოკომოტივის“ ყოფილი ფეხბურთელის, შემდგომ კი პრეზიდენტის – კარლო კალაძისაგან მოსდგამდა, მალე გააოცა გულშემატკივრები; სულ მალე კი ჭეშმარიტ ვარსკვლავად იქცა. გზაც მსოფლიო ფეხბურთისაკენ სწორედ თბილისის „დინამოსა“ და კიევის „დინამოს“ გუნდებში მისი ბრწყინვალე თამაშის ლოგიკური გაგრძელება იყო.

მის სპორტულ ბიოგრაფიაშია გამარჯვებები ჩემპიონთა ლიგაში, იტალიის სუპერთასი, უეფას სუპერთასი და მრავალი სხვა.

სახელი, ღირსება, საყოველთაო აღიარება – თითქოს არაფერი აკლდა. თუმცა მის ცხოვრებაში იყო ის, რაც მისი შესაძლებლობის ზღვარს უფრო მეტ სიმაღლეებს უთანაბრებდა.

და ეს ადამიანი, გამორჩეული ბედისა და მასშტაბების ადამიანი, პოლიტიკაში მოვიდა.

კახიმ, ბრწყინვალე ფეხბურთელის პარალელურად, პოლიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის შესანიშნავი იმიჯიც გაითავისა. წლების განმავლობაში მან არაერთხელ დაამტკიცა, რომ ნიჭსა და შრომას დიდი ასპარეზი აქვს.

კახის სახელს უკავშირდება ქართული ენერგეტიკის განვითარებისათვის მოზიდული უცხოური ინვესტიციები;

საერთაშორისო დონეზე განახლებადი ენერგიის პროექტი – ქარის I ელექტროსადგური „ქართლი I“ – ხელისუფლების ერთ-ერთ საუკეთესო გარიგებადაა აღიარებული;

სწორედ მისი მინისტრობის დროს გახდა საქართველო ევროპული ენერგეტიკული ოჯახის სრულფასოვანი წევრი;

კახის პოლიტიკური კარიერა დღესაც იმავე ტემპით მიემართება, როგორც – საფეხბურთო.

პოლიტიკოს კალაძეს მრავალი მხარდამჭერი ჰყავს. არიან მოწინააღმდეგეებიც. თუმცა, ყველა ერთად აღიარებს მის განსაკუთრებულ უნარსა და შესაძლებლობებს.

კახის უმთავრესი ღირსება მისი შინაგანი უბრალოება და კაცთმოყვარეობაა. სიმდიდრეს, რომელიც საკუთარი შრომით დააგროვა, არასოდეს გაუნაპირებია უბრალო ხალხისგან; არ უქცევია ვიწრო ელიტურ წრეში ჩაკეტილ პერსონად. როცა სამტრედიელები დეპუტატად ირჩევდნენ, იცოდნენ, რომ ამით მხოლოდ პოლიტიკურ არჩევანს კი არ აკეთებდნენ, არამედ დიდ გულშემატკივარსა და ქომაგს ანდობდნენ საკუთარ ბედს.

და მართლაც, როგორ გაუმართლა კახის!... რამდენს დაეხმარა, რამდენის ტკივილი მიიტანა გულთან!... რამდენი პრობლემა გადაუჭრა და ცრემლიც მოსწმინდა...

რამდენი...

ეს კალამი ვერ იტევს მის მიერ ნაკეთებ სიკეთეებს...

უხმაუროდ, სხვებისგან დაფარულად დადიოდა ხალხში და მათ გვერდით იდგა, როგორც ერთ-ერთი მათგანი... მათი რჩეული და მეგობარი...

ასეა დღესაც...

ასე იქნება ხვალაც...

ეს არის მისი ცხოვრების დაუწერელი კანონი; მისი ცხოვრების კრედო!

თუმცა, არის ის, კიდევ ერთი, რომელიც აუცილებლად უნდა ვთქვათ:

კახის ერთი ტრადიცია აქვს – სამტრედიაში ყოველწლიურად, საშობაოდ მოწყობილ საღამოებსა და საქველმოქმედო ღონისძიებებზე მრავალშვილიან და შეჭირვებულ ოჯახებს საკუთარ ჭერს ჩუქნის.

მაგრამ კახი კალაძე არ არის მხოლოდ ერთი პატარა რაიონის ფარგლებში მოღვაწე ადამიანი; მისი სიკეთისა და ქველმოქმედების არეალი გაცილებით მასშტაბურია. მხოლოდ ის რად ღირს, რომ საქართველოში მან რამდენიმე ეკლესია ააშენა და მათ შორის ერთ-ერთი შინდისელი გმირების ხსოვნის პატივსაგებად. იგი სათავეში უდგას თითქმის ყველა მნიშვნელოვან სახელმწიფო მოვლენას.

როდესაც კახის პიროვნულ თვისებებზე ვსაუბრობთ, ალბათ, ბევრს გაახსენდება მისი სატელევიზიო კადრები ვერეს ხეობის წყალდიდობისას 2015 წლის ივნისში. როგორ იდგა იგი სტიქიით დაზარალებულთა გვერდით და როგორ მუშაობდა რიგით მოხალისედ ახალგაზრდების მხარდამხარ. ხალხმა მაშინ კიდევ ერთხელ დაინახა, რომ კახი კალაძე ქვეყნის მხოლოდ ერთ-ერთი მმართველი კი არა, არამედ მოყვასის ბედის გულწრფელი გამზიარებელია.

და ეს იმიტომ კი არა, რომ პოლიტიკოსია და „საქმეში ჩაეთვლება“... არა. ის შინაგანადაა ასეთი: თბილი, უშუალო, გულისხმიერი, ქველმოქმედი და ტოლერანტი.

მიუხედავად მისი დატვირთული საზოგადოებრივი აქტივობისა, არასდროს ავიწყდება, რომ, უპირველესად, არაჩვეულებრივი ქალბატონის მეუღლე და სამი ვაჟკაცის მამაა.

დღეს კახი კალაძე თბილისის მერობის ერთ-ერთი კანდიდატია. ის არის კანდიდატი, რომელსაც აქვს მტკიცედ ჩამოყალიბებული პოლიტიკური ხედვა, უყვარს თავისი ქვეყანა და დედაქალაქი; არასოდეს ეშინია სიახლეების, სჯერა მომავლის და, რაც მთავარია, არ სჩვევია სიტყვის გატეხა.

... მე რომ თბილისელი ვიყო, უყოყმანოდ ავირჩევდი თბილისის მერად კახი კალაძეს.

შორენა ამაღლობელი

რა ხდება „თბილისი მოლის“ კარფურში — რატომ დაჯარიმდა სუპერმარკეტი?

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ (სეს) „თბილისი მოლში“ მდებარე „კარფურის“ საწარმოში კრიტიკული და არაკრიტიკული შეუსაბამობები დააფიქსირა.

ინფორმაციას ამის შესახებ სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (momxmarebeli.ge) ავრცელებს.

როგორც სეს-ის მიერ ცენტრისთვის გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ, ჰიპერმარკეტის საწარმოში ჰიგიენის ზოგადი წესებით დადგენილი მოთხოვნები არ იყო დაცული.

– კრიტიკული შეუსაბამობის გამო ბიზნესოპერატორი დაჯარიმდა „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის“ 68-ე მუხლის მე-3 ნაწილით. საყინულე მაცივარსა და პურ-ფუნთუშეულის საამქროში კი კრიტიკული შეუსაბამობის აღმოფხვრამდე საწარმოო პროცესი შეუჩერდა, – ვკითხულობთ წერილში.

„სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის“ 68-ე მუხლის მე-3 ნაწილი კი გულისხმობს, ისეთი შეუსაბამობას, რომლის დროსაც ადამიანის ან ცხოველის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მავნე სურსათი/ცხოველის საკვები აღმოჩენილია და რომლის სათანადო დონემდე შემცირება ან აღმოფხვრა კონკრეტული საწარმოო პროცესის დროებით შეჩერების გარეშე შეუძლებელია. კოდექსის ამ ნაწილის თანახმად, აღნიშნული დარღვევა გამოიწვევს ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 1.000 ლარის ოდენობით და საწარმოო პროცესის შეჩერებას.

აღსანიშნავია, რომ momxmarebeli.ge ჯერ კიდევ წინა თვეში წერდა, რომ „კარფურში“ ორი სახის ტკბილეულს სიძველის გემო და, სავარაუდოდ, ნავთობპროდუქტების არომატი ჰქონდა. კერძოდ, საუბარია შპს „ვასაძის პურის“ წარმოებულ „სანდომი ვაფლსა“ და „GEO BACKERS პეჩენიაზე“. თუმცა, momxmarebeli.ge-ს ცნობით, როგორც ჩანს, „კარფურის“ საყინულე მაცივრისა და პურ-ფუნთუშეულის საამქროს საწარმო პროცესის შეჩერების მიზეზი ეს არ ყოფილა.

სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ცნობით, სურსათის ეროვნული სააგენტოს მხრიდან შპს „ვასაძის პურისა“ და შპს „ჯეო ბეიკერსის“ საწარმოებიც შემოწმდა, რის შედეგადაც არაკრიტიკული შეუსაბამობები გამოვლინდა, რაც საწარმოების სანიტარიულ-ჰიგიენურ მდგომარეობასთან იყო დაკავშირებული.

კომპანია „რაკია ჯორჯია“ დეპუტატ გელა მიქაძის განცხადებას პასუხობს

კომპანია „რაკია ჯორჯია“ დეპუტატ გელა მიქაძის განცხადებას პასუხობს. კომპანიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ გელა მიქაძემ ბრიტანეთის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში საქმე, ფაქტობრივად, წააგო.

FREE INDUSTRIAL ZONE
RAKIA GEORGIA

კომპანიის ინფორმაციით, „რაკია ჯორჯიას“ ნამდვილად დაეკისრა თანხის გადახდა, თუმცა იგი მოიცავს მხოლოდ სასამართლო ხარჯების გარკვეულ ნაწილს. კომპანია ასევე ასაჯაროებს ბრიტანეთის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ელექტრონულ ვერსიას. „ინტერპრესნიუსი“ „რაკია ჯორჯიას“ განცხადებას უცვლელად გთავაზობთ.

– გელა მიქაძის უსაფუძვლო განცხადებების გამო „რაკია“ ავრცელებს ბრიტანეთის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ორიგინალ დოკუმენტს, რომელიც საჯაროა ყველა დაინტერესებული პირისთვის და მისი გაცნობისას ცალსახაა, რომ გელა მიქაძემ საქმე წააგო და მასთან დაკავშირებული 42,561,555 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების 3 შპს-ს აქტივები დაყადაღდა. ინფორმაცია გამოქვეყნებულია ბრიტანულ-ირლანდიური სამართლებრივი ინფორმაციის ინსტიტუტის ოფიციალურ გვერდზე, სადაც ქვეყნდება ყველა ამ სახის დოკუმენტი.

ასევე ვადასტურებთ, რომ „რაკია ჯორჯიას“ ნამდვილად დაეკისრა თანხის გადახდა, თუმცა იგი მოიცავს მხოლოდ სასამართლო ხარჯების გარკვეულ ნაწილს. აღსანიშნავია, რომ გელა მიქაძე შესაძლოა ცდილობს შეიყვანოს საზოგადოება შეცდომაში, რადგან ლონდონის სასამართლოს აზრით, საკმაოდ საეჭვოა მისი კავშირი იმ კომპანიებთან, რომლებიც მის ქონებრივ დეკლარაციაში არ არის ასახული, რაც ნიშნავს, რომ საქართველოს პარლამენტის დეპუტატს შესაძლოა ჰქონდეს არა დეკლარირებული, საგადასახადო ინსტიტუტებისგან დამალული ქონება.

„რაკია“ კვლავაც გააგრძელებს სამართლებრივ ბრძოლას დიდი ბრიტანეთის, საქართველოსა და არაბთა გაერთიანებული საემიროების სასამართლოებში, – აღნიშნულია „რაკიას“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

რა ქონებას ფლობს კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე?

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის პირველი მოადგილის კახა კანდელაკის შემოსავალმა გასული წლის განმავლობაში 74.375 ლარი შეადგინა.

მიმდინარე წლის 3 აგვისტოს შევსებული ქონებრივი დეკლარაციის თანახმად, კანდელაკი სს „ლიბერთი ბანკის“ 104.021 აქციას ფლობს.

რაც შეეხება მინისტრის მოადგილის ფინანსურ მდგომარეობას, დეკლარაციის შევსების მომენტში „თი-ბი-სი ბანკის“ სახელფასო ანგარიშზე 2.033,57 ლარი; საკრედიტოზე – კი 2.886,64 ლარი ჰქონდა.

კახა კანდელაკს 43.000 დოლარის ოდენობის იპოთეკური სესხი ჰქონდა „თიბისი ბანკში“, რომლის შედეგადაც მისმა გასავალმა წინა წელს 8.003,33 დოლარი შეადგინა.

კანდელაკს მეუღლე ელენა იავორსკაია და ერთი შვილი ჰყავს. ელენა იავორსკაია ფლობს 101,17 კვადრატული მეტრი ფართობის ბინას თბილისში. მასვე დეკლარაციის შევსების მომენტში „თი-ბი-სი ბანკის“ სახელფასო ანგარიშზე 217,74 ლარი ჰქონდა. იავორსკაიას შემოსავალმა შპს „თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის“ მარკეტინგის დირექტორის პოსტზე 2016 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით 45.000 ლარი შეადგინა.

„დამატებითი მოცულობების საჭიროების შემთხვევაში, აზერბაიჯანი გაზის მთავარ მომწოდებლად დარჩება“

დამატებითი მოცულობების საჭიროების შემთხვევაში, ბუნებრივი აირის შესყიდვის კუთხით, საქართველოსთვის აზერბაიჯანი მთავარ მომწოდებლად დარჩება.

აღნიშნულის შესახებ Trend-თან საუბრისას საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ილია ელოშვილმა განაცხადა.

– გასულ წელს საქართველოში ბუნებრივი აირის მოხმარებამ 2.2 მილიარდი კუბური მეტრი შეადგინა, საიდანაც აზერბაიჯანული SOCAR-ის წილი 59% იყო, შაჰ-დენიზის ბუნებრივი აირის – 35%, ხოლო ტრანზიტის სანაცვლოდ მიღებული რუსული გაზის 5%. ადგილობრივი წარმოება მთლიანი ბუნებრივი აირის მიწოდების კუთხით უმნიშვნელოა და 0.3%-ს შეადგენს. 2017-2018 წლებში საქართველო ბუნებრივი აირის იმპორტის მიმართულებით ცვლილებებს არ ელოდება, – აღნიშნა ელოშვილმა.

ამჟამად აზერბაიჯანი საქართველოსთვის ბუნებრივი აირის ძირითადი მომწოდებელია. ბაზრის გაზით მომარაგებას SOCAR-ი ახორციელებს.

ეკონომიკის მინისტრი აეროპორტში შექმნილ პრობლემას განმარტავს

ეკონომიკის მინისტრმა გიორგი გახარიამ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში კომპიუტერული პროგრამის მუშაობასთან დაკავშირებულ პრობლემაზე მთავრობის სხდომაზე გააკეთა განცხადება.

გახარიას განცხადებით, მსგავსი პრობლემა თბილისის აეროპორტის გარდა, მსოფლიოს რამდენიმე წერტილშიც არის.

– არსებობს ასეთი საერთაშორისო სისტემა „სიტა“. ეს არის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ახდენს აეროპორტებში როგორც ფიზიკურ, ასევე ონლაინრეგისტრაციას. პრობლემა მხოლოდ თბილისის აეროპორტში არ არის, რამდენიმე სხვა წერტილშიც არის – გლობალური პრობლემაა. პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ახლა ხდება ფიზიკური რეგისტრაცია მგზავრების აეროპორტში და არა ონლაინ. ამ წუთებში რეისების შეფერხების საშუალო დრო არის 15-20 წუთი, არის რიგების პრობლემა, ვინაიდან ონლაინრეგისტრაციის არარსებობის გამო ყველა მგზავრი უნდა მივიდეს და ფიზიკურად დარეგისტრირდეს, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში კომპიუტერული პროგრამა არ მუშაობს – მგზავრების ელექტრონული რეგისტრაცია ვერ ხერხდება, ბარგი ხელით გადააქვთ, ავიარეისები დაგვიანებით სრულდება.

2017, 11 აგვისტო, №189

გია ხუხაშვილი: „ივანიშვილის დაბრუნებას არ გამოვრიცხავ“

ნათია ხურცილავა



პოლიტოლოგი, ბიძინა ივანიშვილის ყოფილი მრჩეველი, **გია ხუხაშვილი**, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო გია, ცოტა ხნის წინ გუბერნატორების მოულოდნელი მოხსნა რეალურად რას შეიძლება უკავშირდებოდეს. შეიძლება ეს იყოს ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებთან კავშირში? მაგალითად, ირაკლი კობახიძე აცხადებს, რომ საქართველოში დასრულდა ის დრო, როდესაც გუბერნატორები საარჩევნო პროცესში უხეშად ერეოდნენ.

– ეს განცხადება, მარტივად რომ ვთქვა, ლოგიკურობის სრული ნონსენსია. კობახიძე კი ცდილობს, პირდაბანილმა ილაპარაკოს, მაგრამ სწორედ ამაშია მისი განცხადების ნონსენსი და აგიხსნით, რატომ: ეს ნათქვამი ნიშნავს, რომ გუბერნატორები იმიტომ გაათავისუფლეს თანამდებობებიდან, არჩევნებში არ ჩაერიონ, მაგრამ გუბერნატორები არჩევნებში მხოლოდ იმ შემთხვევაში ერევიან, თუ ამის მითითება არის უმაღლესი ხელისუფლებიდან. ეს ხომ ყველამ იცის. ამიტომ ვამბობ, რომ ეს განცხადება ლოგიკას არის მოკლებული. შესაბამისად, ეს ფარისევლური რიტორიკა, ცხადია, არადამაჯერებელია.

რაც შეეხება რეალურ მიზეზს, აქ შეიძლება მიზეზი სწორედაც წინასაარჩევნო იყოს, მაგრამ სრულიად სხვა კუთხით: კონკრეტული გუბერნატორები, თავიანთ რეგიონებში მოსახლეობაში შეიძლება იმდენად დისკრედიტებულები იყვნენ, რომ ხალხის ზედმეტად გაღიზიანება რომ არ გამოიწვიონ და ხალხთან მისასვლელი პირი რომ ჰქონდეთ, ამისთვის შეიცვალნენ. ახალი გუბერნატორები ნაკლებად დისკრედიტებულები იქნებიან. მე ვფიქრობ, ეს არის მიზეზი.

ისე, კობახიძისთვის თავდაყირა ლოგიკით არის საუბარი დამახასიათებელი. რასაც აკეთებს, იმას საპირისპირო არგუმენტაციით ფუთავს. „ჩემი, შენ გითხარის“ პრინციპით ცდილობს, ესა თუ ის გადაწყვეტილება შეფუთოს.

– შეიძლება უფრო მეტი სახელისუფლებო ცვლილებები ვიხილოთ, თუნდაც მინისტრთა კაბინეტში სწორედ წინასაარჩევნოდ?

– შეიძლება ვიხილოთ, შეიძლება არ ვიხილოთ. თუმცა, ეს არ არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი საკითხი. ცდილობენ, რომ პირი დაიბანონ და არჩევნებში მაქსიმალურად ისეთი ხალხი ჩართონ, რომლებიც ნაკლებად არიან კომპრომეტირებულნი. ეძებენ „სუფთა ფურცლიდან“ ადამიანებს, რათა ახალი მოლოდინები და იმედები გააჩინონ ხალხში, მაგრამ ეს ხომ ბევრს არაფერს შეცვლის?! ცხადია, რომ არ შეცვლის. სახელმწიფოებრივი განვითარების თვალსაზრისით, ჩვენ იმდენად სახელისა და გვარის პრობლემა არ გვაქვს, რამდენადაც სისტემური ცვლილებების პრობლემა გვაქვს. მათ შორის ვგულისხმობ არჩევნებისადმი მიდგომის პრობლემას. დღეს ხელისუფლების რიტორიკა ასეთია: ერთი მხრივ – წავიდა ის დრო, როდესაც საარჩევნო პროცესებში ვიღაცები ერეოდნენ და, მეორე მხრივ, არ სრულდება ხელისუფლების წინასაარჩევნო დაპირება, მაგალითად, პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა. ასეთია მოცემულობა. გასაგებია, რომ ეს არის გადაულახავი წინააღმდეგობა.

– ბატონო გია, ამ არჩევნებთან დაკავშირებით ივანიშვილის პოზიცია გასაგებია. როგორც ჩანს, ის დისტანცირებას აპირებს. როგორი შეიძლება იყოს პრემიერ კვირიკაშვილის პოზიცია, რადგან ასეთი ხმებიც გავრცელდა, რომ თავის დროზე კვირიკაშვილი კალაძეს სთავაზობდა პარლამენტის თავმჯდომარეობას.

– კვირიკაშვილი, ვერავის ვერაფერს შესთავაზებდა.

– რატომ?

– რადგანაც ქვეყანაში ასეთი სერიოზული საკითხების გადაწყვეტა მის კომპეტენციას სცილდება. კვირიკაშვილი თავისი რიტორიკით, ქმედებით მუდმივად ადასტურებს, რომ ის არ ერევა პოლიტიკაში. პოლიტიკა არ არის ის სფერო, სადაც მისი კომპეტენცია ვრცელდება. მისი ფუნქციაა, ისაუბროს სიყვარულზე, ურთიერთგაგებაზე, სუფრაზე სადღეგრძელოები შესვას, ამ ბოლო დროს ისაუბროს რელიგიაზე და ცოტაც ეკონომიკაზე თავისი მოკრძალებული სიტყვა თქვას, გარდა ამისა, შეასრულოს საქორწილო გენერლის როლი, რომელსაც უცხოელი სტუმრების დახვედრისა და ხელის ჩამორთმევის კომპეტენცია აქვს.

რეალური პოლიტიკური საკითხები მას არ ეხება და სურვილიც არ აქვს. მხოლოდ ის კი არა, რომ ვიღაც ამას უკრძალავს – არა, თავად სურვილი არ აქვს და არც ამბიცია.

– ბატონო გია, სახელმწიფოს ხომ უნდა მართვა, მაშინ ვინ მართავს?

– დღეს კონსოლიდირებული ძალის ცენტრი არ არსებობს. პროცესი ისევ ბიძინა ივანიშვილის რესურსებზე დაყრდნობით მიდის. მიუხედავად იმისა, ერევა თუ არა პროცესში ბიძინა ივანიშვილი და საჯაროდ ჩანს თუ არ ჩანს, იმავე ინერციით, მისი ნიშნით მიმდინარეობს პოლიტიკური პროცესი.

ნამდვილად იგრძნობა, ჩანს, რომ ბიძინა ივანიშვილი პროცესებისგან გარკვეულწილად დისტანცირებულია. ვხედავთ, რომ ხელისუფლება დეზორიენტირებულია. არ არსებობს გადაწყვეტილების მიღების ერთიანი ცენტრი. ამიტომაც ხდება ის მინიკრიზისები ბოლო პერიოდში, რომელიც ვნახეთ, თუნდაც რეპერების საქმე, ნარკოტიკების ჩადებისა და შემდეგ გამოშვების ფაქტი, აზერბაიჯანელი ჟურნალისტის დღისით, მზისით უცნაური გაუჩინარება. ეს ის ფაქტებია, სადაც ნამდვილად არ იგრძნობოდა ბიძინა ივანიშვილის ხელწერა. თუმცა, ივანიშვილი პროცესებისგან დისტანცირებული რომ არის, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მასზე არ დგას ეს ყველაფერი.

ამომრჩეველმა ბიძინა ივანიშვილისგან რომ მოახდინოს „ქართული ოცნების“ დისტანცირება, მაშინ ეს პარტია შიგნიდანაც დაიშლება და არც არავინ ხმას არ მისცემს. შეიძლება ამომრჩეველს ბიძინა ივანიშვილი მოსწონდეს ან არ მოსწონდეს, მაგრამ მასში სტაბილურობის გარანტს ნამდვილად ხედავს. ამიტომაც არის ხალხის მთელი ორიენტაცია მასზე და სხვა არავისზე. „ქართულმა ოცნებამ“, როგორც პარტიამ, ვერ მოახერხა რეალური ლიდერების გენერირება, შექმნა.

ბიძინა ივანიშვილს „ქართული ოცნება“ ახლა ტესტირების რეჟიმში ჰყავს, ისე, როგორც ნებისმიერ მამას თავისი თინეიჯერი შვილი, რომელსაც აძლევს თავისუფლებას და აკვირდება, შეძლებს ის? ვფიქრობ, ეს ექსპერიმენტი მთლად კარგად არ მიმდინარეობს. ეს თინეიჯერი როგორი უმწიფარიც იყო, ისეთივე უმწიფარია, ხშირ შემთხვევაში დეგრადირებს კიდევაც.

– თუ ასეა, მაშინ რამდენად უშვებთ, რომ ბიძინა ივანიშვილმა სრულიად ღიად, საჯაროდ მოახდინოს „ქართული ოცნებისგან“ დისტანცირება?

– არა, ამ შესაძლებლობას არ ვუშვებ, რადგან მამისა და შვილის მაგალითი ტყუილად არ მომიყვანია. არცერთი ქართველი მამა საკუთარ შვილს სახლიდან არ აგდებს. მე მეორე ვარიანტს უფრო ვუშვებ, შესაძლებელია, ივანიშვილი, უფრო სერიოზული კრიზისის ჩამოყალიბების შემთხვევაში, აქტიურ პოლიტიკაში დაბრუნდეს.

– თქვენ, როგორც ყოფილი მრჩეველი, დღეს ივანი შვილს ამ რეკომენდაციას აძლევთ?

– არათუ ვურჩევ, ეს არის ობიექტური აუცილებლობა. ეს გადაწყვეტილება სწორიც და სამართლიანიც იქნებოდა ხალხის მიმართ. ამ რეკომენდაციისგან თავს შევიკავებდი, საქმე მხოლოდ ერთ პარტიას რომ ეხებოდეს. საქმე ქვეყანასა და რამდენიმე მილიონ ადამიანს ეხება.

„კიმ ჩენ ინს ამერიკის წყობილებიდან გამოყვანა უნდა“

გულიკო ბალაძე

ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში **ვახტანგ მაისაია** „ახალ თაობასთან“ ამერიკა-ჩრდილოეთ კორეის მოსალოდნელ ბირთვულ დაპირისპირებას აანალიზებს.

– ბატონო ვახტანგ, ჩვენ ვართ მომსწრე ამერიკისა და ჩრდილოეთ კორეის ლიდერებს შორის ბირთვული ომის მუქარებისა. ბირთვული ომი მოსალოდნელია?

– ჩრდილოეთ კორეას გაუჩნდა ბირთვული ომის წარმოების ამბიციები, რადგან იარაღი აქვს. ფაქტობრივად, ის გახდა ბირთვული გუნდის წევრი. აქ საკმაოდ საინტერესო სცენარი იკვეთება, რომლის გამოც შეშფოთებულია საერთაშორისო საზოგადოება, განსაკუთრებით, აშშ.

კიმ ჩენ ინმა უკვე დაავალა თავის სარდლებს, მოამზადონ სპეციალური გეგმა. გეგმა უკვე მომზადებული ექნება ამერიკასაც. კიმ ჩენ ინს განზრახული აქვს სარაკეტო დარტყმების განხორციელება კუნძულ გუამზე განლაგებულ ამერიკის სამხედრო ბაზებზე, რომელიც წარმოადგენს საკვანძო ელემენტს. ისეთივე სიტუაცია იქმნება, როგორიც იყო იაპონიასა და ამერიკას შორის 1941 წლის 7 დეკემბრამდე. მოგეხსენებათ, მაშინ იაპონიამ დაარტყა ჰავაის კუნძულებზე დისლოცირებულ ამერიკის წყნარი ოკეანის ფლოტს. ახლა ჩრდილოეთ კორეის ავტოკრატიული დიქტატორული რეჟიმი გეგმავს დაარტყას გუამის კუნძულს. გუამი ამერიკის პროტექტორატის ქვეშ არის. იქ განლაგებულია ამერიკის სტრატეგიული სამხედრო ბაზები.

– ამ სიტუაციაში საერთაშორისო საზოგადოებას არაფერი შეუძლია?

– მართალია, გაეროს უშიშროების საბჭომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება ჩრდილოეთ კორეის მიმართ სანქციების გამკაცრებაზე, მაგრამ ეს ჩრდილოეთ კორეაც ვერ შეაკავებს. ჩრდილოეთ კორეის მფარველები არიან უშუალოდ რუსეთი და ჩინეთი, მაგრამ, როგორც იტყვიან, ჯინი გაშვებულია. თუ შეკავება შესაძლებელი იყო, ჩინეთსა და რუსეთს აქამდე უნდა შეეკავებინათ. ფაქტობრივად, კიმ ჩენ ინი წავიდა დამოუკიდებელ, თავისუფალ ცურვაში. გარკვეული დროის შემდეგ მან შეიძლება თავის მოკავშირეებსაც შეუქმნას რეალური საფრთხე.

– ამ ეტაპისთვის კიმ ჩენ ინს წყნარი ოკეანის კონტროლი უნდა თუ უფრო მეტის ამბიცია აქვს?

– მას უნდა, ამერიკის ხელისუფლება გამოიყვანოს მწყობრიდან და უჩვენოს თავის ქვეყანას, რომ ჩრდილოეთ კორეა არის სუპერსახელმწიფო. კიმ ჩენ ინი ამას აკეთებს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, შიდა პოლიტიკური რეჟიმი რომ გააგრძელოს.

– ისეთი იარაღი არ არსებობს, რომ გაშვებული ბირთვული ბომბები შეაჩეროს?

– სამწუხაროდ, ასეთი იარაღი არ არსებობს. არის ჩვეულებრივი სარაკეტო, საჰაერო და წყალქვეშა დარტყმის გასანეიტრალებელი იარაღი. თუ ამერიკა განახორციელებს ბირთვულ დარტყმას, ეს, პირველ რიგში, შეეხება მის მოკავშირეებს – სამხრეთკორეელებსა და იაპონელებს. ამან შეიძლება გამოიწვიოს მსოფლიო ომი, რადგან ამერიკასა და ჩრდილოეთ კორეას შორის ბირთვული შეჯახება ყველა ვარიანტში ჩინეთსაც შეეხება. ჩინეთი არის სუპერსახელმწიფო, რომელსაც ბირთვული შეიარაღება გააჩნია.

ამერიკა-ჩრდილოეთ კორეის შეჯახება რუსეთსაც შეეხება, რადგან ბირთვული აფეთქების შედეგად რადიაქტიურმა დაბინძურებამ შეიძლება რუსეთამდეც მიაღწიოს და მთელი ჩრდილო-აღმოსავლეთი დატბოროს. რუსეთმა ეს შეიძლება მიიღოს მის წინააღმდეგ ამერიკელების მიერ განხორციელებულ დარტყმად. კარგად მოგეხსენებათ, ამერიკასა და რუსეთს შორის ურთიერთობა როგორ არის გართულებული. ამ ფონზე, როდესაც ამერიკასა და რუსეთს შორის მიმდინარეობს ახალი ცივი ომი, ჩრდილოეთ კორეას უნდა, რუსეთი და ჩინეთი ამერიკას დააჯახოს. ჩრდილოეთ კორეა აშშ-ს შანტაჟის ენით ესაუბრება. ჩრდილოეთ კორეას ამერიკასთან ბირთვული ენით საუბარი სჭირდება თავისი მოსახლეობისთვის იმის საჩვენებლად, რომ ის არის სუპერსახელმწიფო. ამით სურს მისი ხელისუფლების გამყარება.

– კიმ ჩენ ინს როგორი ჯარი ჰყავს?

– კიმ ჩენ ინს ჰყავს კარგად მობილიზებული შეიარაღებული ძალები. მას ამერიკელები ხმელეთზე ვერაფერს უზამენ, გამორიცხულია. ჩრდილოეთ კორეა საკმაოდ ძლიერია. მსგავსი მრავალრიცხოვანი არმია არავის ჰყავს. მასობრივი შეიარაღება აქვთ.

– რამდენათასიანი არმია ჰყავს?

– ჩრდილოეთ კორეას 2-მილიონიანი არმია ჰყავს. ამერიკელებსაც ჰყავთ 2– მილიონიანი არმია, მაგრამ განაწილებული ჰყავს სხვადასხვა რეგიონში. ჩრდილოეთ კორეის 2-მილიონიანი არმია მობილიზებულია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. მას შეუძლია, მილიონიანი არმია გამოიყვანოს. ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ სახმელეთო ოპერაცია წარუმატებელი იქნება, გამორიცხულია, ვერ განახორციელებენ. შეიძლება ამერიკელებმა ჩრდილოეთ კორეის ბირთვული ობიექტები გაანადგურონ, მათ შორის, ჰაერიდან და ზღვიდან, შეიძლება ხმელეთიდანაც განახორციელონ და წერტილოვანი ბირთვული დარტყმებით ჩრდილოეთ კორეა საერთოდ გაანადგურონ.

– ამერიკის მხრიდან ჩრდილოეთ კორეაზე ბირთვული დარტყმის შედეგად რამდენი ქვეყანა დაზარალდება?

– რუსეთი, ჩინეთი და ამერიკის მოკავშირეები: სამხრეთ კორეა, იაპონია, ფილიპინები.

– თუ კიმ ჩენ ინი დაარტყამს, მაშინ?

– თუ კიმ ჩენ ინმა დაარტყა, მაშინ ამერიკელები იძულებულნი იქნებიან, საპასუხო დარტყმა მიაყენონ. იგივე სცენარი იქნება, ამას მნიშვნელობა არ აქვს. ამას კიმ ჩენ ინი იმიტომ აკეთებს, რომ ერთმანეთს წაჰკიდოს რუსეთი, ამერიკა და ჩინეთი.

– თვითონ ჩრდილოეთ კორეა არ ზარალდება?

– ჩრდილოეთ კორეაში ავტოკრატიული რეჟიმია და კიმ ჩენ ინს არ ადარდებს, თავისი ხალხი რა მდგომარეობაში აღმოჩნდება. კიმ ჩენ ინი ავადმყოფია. ფაქტობრივად, ის მანიაკალური ტიპის პიროვნებაა, რომელსაც არ ანაღვლებს თავისი მოსახლეობის ბედი. თვით მოსახლეობაც იმდენად იდეოლოგიზებულია, რომ ისლამისტი ჯიჰადისტებისაგან განსხვავებული ფილოსოფია მათ არ აქვთ. ყველა მზად არის, „ჩუჩხეს“ იდეების დასაცავად თავი სამსხვერპლოზე მიიტანოს.

– შედეგები ძალიან სავალალო იქნება.

– ჩრდილოეთ კორეას 15-კილოტონიანი 20-მდე ბირთვული ქობინი გააჩნია და შესაძლებელია განახორციელოს დარტყმა სამხრეთ კორეის ან იაპონიის წინააღმდეგ. ეს იქნება ამერიკისთვის ომის გამოცხადება. ამერიკელები, რასაკვირველია, უპასუხებენ.

– დარტყმა დასწრებაზეა?

– ამერიკელები პირველები არ დაარტყამენ ჩრდილოეთ კორეას, გამორიცხულია. თუმცა, ამერიკელებმა შეიძლება დაასწრონ და დაარტყან ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ ობიექტებს. ეს იქნება პრევენციული დარტყმების მიყენება და ბირთვული ობიექტების განადგურება.

მამუკა გამყრელიძე: „ოპოზიციის ნაწილს ხელისუფლების შეცვლა არ სურს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი დიპლომატი, ახალი ერთობა საქართველოსთვის დამფუძნებელი **მამუკა გამყრელიძე** პასუხობს.

– ბატონო მამუკა, ოთხმა პოლიტიკურმა სუბიექტმა ოპოზიციურ პარტიებს გაერთიანებისა და პრაიმერის გზით ერთიანი კანდიდატის გამოვლენისკენ მოუწოდეთ, თუმცა ამას პარტიების მხრიდან გამოხმაურება არ მოჰყოლია. გიგი უგულავამ ისიც განაცხადა, რომ ისინი მეორე ტურში გასულ ოპოზიციურ კანდიდატს დაუჭერენ მხარს. რატომ არ წამოვიდა ოპოზიცია ამ ინიციატივაზე?

– სიმართლე გითხრათ, ძალიან ბევრი კითხვა მაქვს ამასთან დაკავშირებით, იმიტომ, რომ ის, რასაც ჩვენ ვთავაზობთ, ძალიან ლოგიკურია. აქ არის ერთი ასეთი მომენტი: ერთია, როდესაც შენ გადიხარ მარტო არჩევნებზე და შემდეგ იმის იმედით, რომ მეორე ტურში ვიღაცა გავა, იმას მისცემ ხმას და ასე შემდეგ... ისტორია გვიჩვენებს, რომ არცერთხელ მეორე ტურში გასულ არცერთ კანდიდატს, რომელიც პირველ ტურში დამარცხდა, არ მოუგია!

ყოველთვის იგებს ის, ვინც პირველ ტურში ყველაზე მეტი ხმა დააგროვა. ყველა ვარიანტში ეს დამარცხების ტოლფასია, თან ყველამ კარგად ვიცით, ეს ის ხელისუფლება არ არის, რომელიც უარს იტყვის ისეთ ხერხებზე, როგორიც არის ადმინისტრაციული რესურსი. შესაბამისად, ოპოზიციას აქვს ძალიან მცირე შანსი.

– იქნება კი მეორე ტური?

– ესეც საკითხავია, შესაძლოა მეორე ტურამდე სულაც არ მივიდეს საქმე, სათუოა, იქნება თუ არა მეორე ტური. ისიც საკითხავია, მეორე ტურში რომელი ოპოზიციონერი გავა, ეს იქნება ელენე ხოშტარია თუ ზალიკო. ჯერჯერობით ყველაზე კარგი მაჩვენებელი ალეკო ელისაშვილს აქვს.

– როგორც ცნობილია, ის პრინციპულად არ აპირებს, შეუერთდეს რომელიმე ოპოზიციურ ძალას.

– დიახ, ასეა. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ ვთქვათ, გაიმარჯვა ზალიკომ, მას ელისაშვილის ხმები დააკლდება. ელისაშვილის მომხრეები მას ხმას არ მისცემენ. რეალურად უკვე წინასწარ გადაწყვეტილია მეორე ტურის ბედიც. ამიტომ, რასაც ჩვენ ვთავაზობდით, ეს იყო აბსოლუტურად ლოგიკური. ჩვენ ვთავაზობდით, მოდით, ყველა გავერთიანდეთ, შევქმნათ მთლიანობის შეგრძნება, სინერგიის ეფექტი. ყველაზე მეტი საშიშროება არის ის, რომ ხალხს არ უყვარს ადგილობრივ არჩევნებზე მოსვლა. როდესაც არ იქნება დიდი აქტივობა, უფრო დიდი შანსი იქნება იმისა, რომ ხელისუფლება ადმინისტრაციულ რესურსს გამოიყენებს. შესაბამისად, ამ გაერთიანებით შესაძლებელი იყო რაღაცა ინტერესის გაძლიერება ხალხში. რაც მთავარია, ხალხს იმედი გაუჩნდებოდა. ეს უარი კი ჩემში სერიოზულ კითხვის ნიშნებს აჩენს.

– რა კითხვებს იწვევს ოპოზიციის უარი?

– მე მაქვს კითხვა – გვაქვს თუ არა მიზნად ხელისუფლების შეცვლა?! გვინდა ხელისუფლების შეცვლა თუ არ გვინდა?!

ის, ვინც არ მოდის ამაზე ან უბრალოდ ვერ ხვდება ამ გაერთიანების შინაარსს, ან გვაქვს ის მდგომარეობა, რომელიც ახლაა, პირველი ოპოზიციონერის, მეორე ოპოზიციონერისა და მესამის რაღაცა საეჭვო სტატუსი და ამ სტატუსით კმაყოფილია. ის ხელისუფლების შეცვლაზე არ ფიქრობს. მე ეს მოსაზრება მიჩნდება.

– ანუ თუ მეორე ტური გახდა საჭირო, შესაძლოა მეორე ტურში კალაძე და ელისაშვილი ვიხილოთ?

– ჩვენ რაც ვნახეთ ენდიაის კვლევები, შესაძლოა იქ არის გარკვეული ცდომილება, მაგრამ ეს კვლევები დღესდღეობით აჩვენებს, რომ ყველაზე მაღალი რეიტინგი ოპოზიციურ პარტიებსა და ოპოზიციურ კანდიდატებში აქვს ელისაშვილს. მართალია, ჯერ კიდევ არ დასახელებულა ყველა კანდიდატი, ჯერ კიდევ წინ არის, როგორი იქნება წინასაარჩევნო კამპანია, თუმცა დღევანდელი შედეგებით ასეა.

– იმ ოთხ სუბიექტს, რომლებიც ერთად აპირებთ არჩევნებში მონაწილეობას, ერთიანი მეროობის კანდიდატი გეყოლებათ?

– ჩვენ, რა თქმა უნდა, შევეცდებით, ერთიანი კანდიდატი გვყავდეს. ჩვენ დავაანონსეთ გაერთიანების შექმნა. მომავალ კვირაში საზოგადოებას მოვახსენებთ ამ ერთობის მიზნებსა და გეგმებს, გავაკეთებთ პრეზენტაციას, ერთიანი კანდიდატის წარდგენას და ასე შემდეგ.

– ითქვა, რომ ამ გაერთიანების კანდიდატად ვაშაძე მოიაზრება. ასეა?

– სამწუხაროდ, ჩვენ პრაიმერს ვერ ჩავატარებთ შიგნით. უბრალოდ, ეს უაზრობა იქნება. ყველაზე დიდი რეიტინგი მართლა ვაშაძეს აქვს და, აქედან გამომდინარე, ალბათ ვაშაძე იქნება. დიდი ალბათობით, ასე იქნება.

– დიდი სამზადისი აქვს ოცნებასო, მიმდინარეობს გუბერნატორების, რწმუნებულების ცვლა. ეს ყოველივე რასთან არის დაკავშირებული? რას გეგმავს ოცნება?

– როგორც ჩანს, უფრო ერთგული ადამიანების დანიშვნა უნდათ, ისეთი ადამიანების, რომლებიც ადგილებზე არჩევნების დროს შეძლებენ, მაქსიმალურად მათთვის გამოსადეგნი იყვნენ.

– რეგიონებში შედარებით უჭირთო. თქვენც ასე ფიქრობთ?

– მე არ ვფიქრობ ასე. რეგიონებშიც მშვენივრად აქვთ მომზადებული ყველაფერი. იცით, რაშია საქმე? აქ არის ერთი ძალიან მარტივი რაღაც: ადგილობრივ არჩევნებზე ადმინისტრაციული რესურსი არის ძალიან მძლავრი იარაღი, ბევრად უფრო მძლავრი, ვიდრე საპარლამენტო არჩევნებზე. ამ ადგილებზეც წარდგენილი იქნებიან ის ადამიანები, რომლებსაც გარკვეული რესპექტი აქვთ საზოგადოებაში. წესით, არ გაუჭირდებათ. ისიც მოგეხსენებათ, რომ ბიზნესი ყოველთვის ცდილობს, ხელისუფლებას დაუდგეს მხარში. ამიტომ მე არა მგონია, ხელისუფლებას საერთოდ სადმე გაუჭირდეს.

– თბილისზე რას იტყვით?

– რაც შეეხება თბილისს, თბილისში მართლა ძალიან ძლიერი კანდიდატი ჰყავთ, ადამიანი, რომელმაც კარგად იცის პიარის ანაბანა, მშვენივრად, ბევრად უკეთ, ვიდრე სხვა კანდიდატებმა. პოპულარულია ეს ადამიანი საზოგადოებაში და ამის არდანახვა არ შეიძლება! მე ეს მომწონს თუ არ მომწონს, მეორე საკითხია, მაგრამ ფაქტია, ძალიან ძლიერი კანდიდატია.

ვაშინგტონის მორიგი მხარდაჭერა

რატომ ჩავიდა სინამდვილეში პუტინი აფხაზეთში

მარიამ მჭედლიშვილი

ნატოსა და ევროკავშირის შემდეგ რუსეთის პრეზიდენტის ოკუპირებულ აფხაზეთში ჩასვლა დაგმო აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა. ამით კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ დღეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ამერიკის პოლიტიკურ დღის წესრიგში შედის.

თეთრმა სახლმა ამ სამუშაო ვიზიტს მიუღებელი უწოდა და აღნიშნა, რომ ის ეწინააღმდეგება ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების პრინციპებს, რომლის მონაწილეა რუსეთი.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი აცხადებს, რომ სრულად უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისო ფონზე აღიარებულ საზღვრებში და ეწინააღმდეგება რუსეთის მხრიდან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებას.

აშშ მოუწოდებს რუსეთს, გაიყვანოს ჯარი იმ პოზიციებზე, რომელიც მას ეკავა 2008 წლის საომარ მოქმედებამდე და გადახედოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების საკითხს.

პუტინის სტუმრობას აფხაზეთში 2008 წლის ომის წლისთავსა და საქართველოში აშშ-ის ვიცეპრეზიდენტის ვიზიტს არ უკავშირებენ რუსეთში.

კრემლთან დაახლოებული ექსპერტი სტანისლავ ტარასოვი განმარტავს, რომ რუსეთი აძლიერებს თავის სამხედრო ყოფნას ამიერკავკასიაში. პუტინი აფხაზეთში სწორედ ამის გამო ჩავიდა და ამიტომ ისაუბრა აფხაზეთის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე. გაუგებარია, რატომ უწოდეს თბილისში ამ ვიზიტს მაიკ პენსის საპირწონე.

აშშ-ის ვიცეპრეზიდენტმა მონაწილეობა მიიღო ნატოს მასშტაბური წვრთნების გახსნის ცერემონიალში. ალიანსის სამხედრო დანაყოფები ზღვითა და ავიაციითაც გადაადგილდებოდნენ. ისინი ვაზიანის პოლიგონზე განლაგდნენ.

– ეს არის გამოწვევა, რომელზეც მოსკოვმა რეაგირება უნდა მოახდინოს, – აღნიშნავს პუტინის მომხრე ექსპერტი.

მისი თქმით, ბიძინა ივანიშვილმა თავისი პრემიერობისას განაცხადა, რომ სააკაშვილმა 2008 წელს უგუნური ქმედებები ჩაიდინა. დღევანდელი ხელისუფლება არ აპირებს ანალოგიურ მოქმედებებს. ის, რაც დღეს თბილისიდან ისმის, სულ სხვა სიმღერაა. დღევანდელი პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი აღნიშნავს, რომ ქვეყანას აქვს ყველა ინსტრუმენტი იმისათვის, რომ მოემზადოს და შევიდეს ნატოში. ზოგიერთი ექსპერტი ამას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნების მცდელობად აღიქვამს.

ტარასოვის შეფასებით, ნატო ამიერკავკასიაში თავის საყრდენ პუნქტს საქართველოს ტერიტორიაზე ქმნის. ადრე თავად თბილისი ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს სთავაზობდა სანაპირო დაცვის ბაზის შექმნას ფოთში. ამან თურქეთიც კი შეაშფოთა.

ანკარა ხედავს, რომ ნატოს შავი ზღვის რეგიონში სიმძიმის ცენტრი გადააქვს თურქეთიდან რუმინეთში, ბულგარეთში, ასევე, ნატოს ანგაჟირებული მოკავშირეების ტერიტორიაზე – საქართველოსა და უკრაინაზე.

რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი შოიგუ აცხადებს, რომ შექმნილ ვითარებაში მოსკოვი იძულებულია, აამაღლოს სამხრეთი სამხედრო ოლქის საბრძოლო შესაძლებლობები და მიიღოს ასიმეტრიული ზომები ეროვნული საფრთხეების ნეიტრალიზაციისათვის, გაატაროს შეკავების ღონისძიებები.

ცნობილია, რომ რუსეთს სამხედრო ბაზები აქვს სომხეთში, ასევე ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. სომხეთთან, ასევე სეპარატისტულ რეგიონებთან რუსეთს შექმნილი აქვს ერთობლივი სამხედრო დაჯგუფებები. რუსეთი ამ მიდამოებში წვრთნებსაც ატარებს. კიდევ რა ღონისძიებები აქვს მოსკოვს დაგეგმილი საფრთხის ნეიტრალიზაციისთვის, გაუგებარია.

სემეკ-მა ახალი სატარიფო მეთოდოლოგია დაადგინა

წყლის განაწილების, ელექტროენერგიის გადაცემის, დისპეტჩერიზაციისა და ჰიდროგენერაციის სატარიფო გაანგარიშება წელიწადში ერთხელ ხდებოდა, ახალი სატარიფო მეთოდოლოგიით კი 3 წელიწადში ერთხელ მოხდება.

ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის განმარტებით, სამწლიან პერიოდში გადახედვა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში მოხდება.

სემეკ-ის დადგენილება ძალაში გამოქვეყნებისთანავე შევა. ახალი სატარიფო მეთოდოლოგიით გაანგარიშებული ტარიფი კი 2018 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდება.

მიმდინარე წელს ცხოველთა მონიტორინგის სააგენტომ 282 გველი დაიჭირა

მიმდინარე წელს ცხოველთა მონიტორინგის სააგენტომ 282 გველი დაიჭირა. აქედან არცერთი მათგანი შხამიანი ქვეწარმავალი არ ყოფილა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს უფროსმა თემურ ფხალაძემ განუცხადა, წელს გველის მიერ დაკბენის არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა. მისივე თქმით, ქვეწარმავლების შესახებ გამოძახების რიცხვი თბილისის მასშტაბით წელს შარშანდელთან შედარებით მცირეა.

– ქვეწარმავლების აქტივობა სიცხეში ჩვეულებრივი მოვლენაა და ამ მხრივ წელს გამონაკლისი არ არის. მიმდინარე წლის სტატისტიკურ მონაცემებს თუ შევადარებთ შარშანდელ ანალოგიურ პერიოდს, ქვეწარმავლების რაოდენობა გაცილებით ნაკლებია. საგანგაშო მდგომარეობა ნამდვილად არ არის.

ქვეწარმავლის მხრიდან ადამიანის დაკბენის შემთხვევები წელს არ დაფიქსირებულა, – განაცხადა ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს უფროსმა თემურ ფხალაძემ.

სააგენტოს უფროსის მოადგილის ლერი ქვარაიას ინფორმაციით კი, წელს სააგენტოში ქვეწარმავლების შესახებ 580 შეტყობინება შევიდა. აქედან რეაგირება 557 შემთხვევაში განხორციელდა და 282 ქვეწარმავალია დაჭერილი. მისივე ინფორმაციით, გამოძახება ქალაქის ყველა რაიონიდან ფიქსირდება.

– შარშან ერთი შემთხვევა იყო შხამიანი გველის. თბილისის კლიმატური პირობები უწყობს ხელს ქვეწარმავლებს. ისინი უვნებელი გველები არიან. დაკბენის შემთხვევაც არ გვქონია, – განაცხადა ლერი ქვარაიამ.

2017, 11 აგვისტო, №189

მთავრობამ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს დებულება დაამტკიცა

როგორც მთავრობის დადგენილებაში ვკითხულობთ, სააგენტოს მიზნებია: დეპოზიტების დაზღვევის სისტემის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა; კომერციულ ბანკებში სადაზღვევო შემთხვევათა დადგომისას ფიზიკური პირების დაზღვეული დეპოზიტების ანაზღაურება; კომერციულ ბანკებში სადაზღვევო შემთხვევათა დადგომისას კომერციული ბანკებიდან დეპოზიტების მასობრივი გადინების პრევენცია.

დებულების თანახმად, სააგენტომ უნდა განსაზღვროს ან/და მიიღოს პირველადი, რეგულარული და სპეციალური სადაზღვევო შენატანები და უზრუნველყოს მათი დეპოზიტების დაზღვევის ფონდში (შემდგომში – ფონდი) აკუმულირება; განსაზღვროს სპეციალური სადაზღვევო შენატანების საჭიროება და შესაბამის შემთხვევაში, უზრუნველყოს მათი მოზიდვა; სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას გასცეს ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; ინსტრუქციით გათვალისწინებული ფორმატით კომერციული ბანკებისგან მოითხოვოს დაზღვეული დეპოზიტების შესახებ ინფორმაცია; კომერციულ ბანკებში არსებული დაზღვეული დეპოზიტების შესახებ კომერციული ბანკებისგან მიღებული ინფორმაცია გადაამოწმოს ადგილზე, დისტანციურად ან/და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული პირის ან/და კომერციული ბანკების გარე აუდიტორების მეშვეობით.

სააგენტოს მართვის მიზნით შეიქმნება საბჭო, რომელიც 5 წევრისაგან შედგება. საბჭოს წევრები : ფინანსთა მინისტრი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, 2 დამოუკიდებელი წევრი. საბჭოს 1 წლით როტაციის პრინციპით თავმჯდომარეობენ: ფინანსთა მინისტრი, ეკონომიკისა მინისტრი და ეროვნული ბანკის პრეზიდენტი.

როგორც დადგენილებაშია ნათქვამი, საბჭოს დამოუკიდებელი წევრი არ შეიძლება, იყოს ბოლო 6 თვის განმავლობაში კომერციული ბანკის მოქმედი ან ყოფილი ადმინისტრატორი ან/და ჰქონდეს სხვა სახის ინტერესთა კონფლიქტი. დამოუკიდებელ წევრებს კომერციული ბანკები ფარული კენჭისყრით ირჩევენ, ხმათა უბრალო უმრავლესობით. თითოეულ კომერციულ ბანკს აქვს 1 ხმის უფლება. კენჭისყრა ჩატარდება, თუ მასში კომერციული ბანკების 2/3 მონაწილეობს. კენჭისყრას ორგანიზებას უწევს ეროვნული ბანკი.

საბჭოს დამოუკიდებელი წევრის უფლებამოსილების ვადა 5 წელია. რომლის ამოწურვის შემდეგ მისი განმეორებით არჩევა შეზღუდული არ არის. საბჭოს დამოუკიდებელი წევრის შრომის ანაზღაურების ოდენობა სააგენტოს შესაბამისი წლის ბიუჯეტით განისაზღვრება.

სააგენტოს ხელმძღვანელობს სააგენტოს უფროსი, რომელიც თანამდებობაზე 5 წლის ვადით ინიშნება. ვადის ამოწურვის შემდეგ მისი თანამდებობაზე განმეორებით დანიშვნა შეზღუდული არ არის. სააგენტოს უფროსის თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატი შეირჩევა ღია კონკურსით.

ამასთან, როგორც დადგენილებაში ვკითხულობთ, სააგენტო ვალდებულია, ელექტრონულად გამოაქვეყნოს ინფორმაცია დეპოზიტების დაზღვევის სისტემის მონაწილე კომერციული ბანკების შესახებ, ფონდში აკუმულირებული თანხების შესახებ, კვარტალური და წლიური ანგარიშები სააგენტოს საქმიანობის შესახებ, სააგენტოს დებულება, ინსტრუქციები, ინფორმაცია ფონდის სახსრების განთავსების შესახებ, სააგენტოს წლიური ბიუჯეტი და გარე აუდიტორის ანგარიში. ამასთან, სააგენტო ვალდებულია თავისი საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიში გადაუგზავნოს საქართველოს მთავრობას, პარლამენტსა და ეროვნულ ბანკს.

დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს დაფინანსების წყაროებია: სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი შესაბამისი მიზნობრივი სახსრები; გრანტები; შემოწირულობები; ტექნიკური და სხვა სახის დახმარებები; სააგენტოს მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავლები; ფონდის სახსრები და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

„კულა“ პირველი ქართული წარმოების თევზის, საქონლისა და ცხვრის ხორცის კონსერვებს ბაზარზე რამდენიმე დღეში გამოიტანს

„კულა“ თევზის, საქონლისა და ცხვრის კონსერვებს ბაზარზე რამდენიმე დღეში შეიტანს. როგორც „კულას“ დამფუძნებელი ვანო გოგლიძე „კომერსანტთან“ საუბრისას განმარტავს, 15 აგვისტოდან სარეალიზაციო ქსელში თევზის კონსერვი გამოჩნდება, 1-ლი სექტემბრიდან კი ასორტიმენტი გაფართოვდება. შედეგად, ქსელში გაიყიდება თევზის, საქონლის, ცხვრისა და ღორის კონსერვები.

გოგლიძის ინფორმაციით, კონსერვები 400.500-გრამიან თუნუქისა და მინის ქილაში იქნება. რაც შეეხება ფასს, გოგლიძე ამბობს, რომ ამ 400- გრამიანი საქონლის ხორცის კონსერვის ფასი 4 ლარიდან დაიწყება. მისი მტკიცებით, საქონლის ხორცის კონსერვით კომპანია შინაგან საქმეთა სამინისტროს უკვე ამარაგებს. გოგლიძის მტკიცებით, ის კომპანია, რომელიც შსს-ს ტენდერშია გამარჯვებული, „კულასგან“ იღებს პროდუქციას.

კომპანიას აღნიშნული ხაზის ამოქმედება, ჯამში, 2 მილიონი ლარი დაუჯდა. კომპანია ნედლეულს ადგილობრივებისგან იბარებს.

კითხვაზე, შეძლებს თუ არა „კულას“ კონსერვი კონკურენციის გაწევას და ვინ იქნება ძირითადი კონკურენტი, გოგლიძე განმარტავს, რომ „კულა“ მის მიერ წარმოებული კონსერვებით იმპორტირებული პროდუქციის ეტაპობრივად ჩანაცვლებას გეგმავს. მისი მტკიცებით, ადგილობრივ ბაზარზე მთავარი კონკურენტი იმპორტირებული პროდუქციაა. რა წილის დაკავებას გეგმავს ადგილობრივ ბაზარზე, ამის შესახებ გოგლიძე ვერ საუბრობს.

– იმპორტით შემოდის ძირითადად დაბალი ხარისხის კონსერვები. ჩვენ მაღალი ხარისხის სეგმენტში ვართ. არ ვაპირებთ იაფიანი კონსერვების წარმოებას, როდესაც ვერ გაიგებ, იქ ხორცია თუ სხვა რამ, – აცხადებს გოგლიძე. მისივე მტკიცებით, კომპანია სექტემბრიდან ტოლმის, ხაშისა და ბუღლამის გამოშვებას გეგმავს.

შეგახსენებთ, კომპანია „კულამ“ ახალი ქარხანა გორის რაიონში, სოფელ კარალეთში გახსნა.

1 წელიწადში მიწა 200 ათასზე მეტმა მოქალაქემ დაირეგისტრირა

მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო რეფორმის ფარგლებში, 1 წლის განმავლობაში მიწა საკუთრებაში 200 ათასზე მეტმა მოქალაქემ დაირეგისტრირა.

საჯარო რეესტრის ინფორმაციით, რეფორმის დაწყებიდან დღემდე სახელმწიფომ 98.873 აზომვითი ნახაზის საფასური აანაზღაურა.

ამ დროისთვის, საკუთრების აღიარებისთვის შესაბამის კომისიაში 16 ათასზე მეტი განცხადებაა გაგზავნილი, 8.000 მოქალაქის განცხადება შესწავლისა და განხილვის პროცესშია, 72 ათასამდე განცხადებაზე კი საჯარო რეესტრი, მოქალაქის ნაცვლად, უფლების დამდგენ დოკუმენტაციას სხვადასხვა უწყებაში თავად იძიებს.

რეესტრის ინფორმაციით, რეფორმის ფარგლებში სანოტარო მედიაციის საშუალებით, 333 კომპლექსური საქმე მორიგებით დასრულდა და მოქალაქეებმა მეზობელთან ხანგრძლივი დავის შემდეგ მიწები მარტივად დაირეგისტრირეს.

მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო რეფორმა 2018 წლის 1 ივლისამდე გრძელდება. მოქალაქეებს შეუძლიათ მიმართონ იუსტიციის სახლებს, საჯარო რეესტრის ტერიტორიულ სამსახურებსა და საზოგადოებრივ ცენტრებს.

მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო რეფორმა, რომელიც 2016 წლის 1 აგვისტოს დაიწყო, უძრავი ქონების რეგისტრაციის პროცედურების გამარტივებასა და მესაკუთრის უფლებების დაცვაზეა ორიენტირებული. რეფორმის დაწყება მიწის რეგისტრაციის კუთხით არსებულმა პრობლემებმა გამოიწვია. 90-იანი წლების შემდეგ ქვეყანაში არსებული მიწის ნაკვეთების მხოლოდ 25%-მდე იყო რეგისტრირებული.

როგორ კორპუსში უნდა შევიძინოთ საცხოვრებელი ბინა?

ბინის შეძენა მნიშვნელოვანი მოვლენაა ნებისმიერი ოჯახის ცხოვრებაში – ახალი ბინა ნიშნავს ახალ გარემოს და, რაც მთავარია, უფრო კომფორტულ, სასიამოვნო სიტუაციაში ცხოვრებას.

ასეთ დროს ადამიანი არჩევანის წინაშე დგას: ბინა ახალაშენებულ კორპუსში შეიძინოს თუ ძველში, კორპუსის ბინის ყიდვა სჯობს თუ კერძო სახლის, რა უნდა გაითვალისწინოს, ვიდრე საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს და ა.შ... ამ საკითხებზე უძრავი ქონების სააგენტო „თბილისისერვისის“ დირექტორი **გიორგი გომელაური** გვესაუბრება:

– ბატონო გიორგი, თქვენი შეფასებით, ბინის შეძენა უფრო გონივრული არჩევანია თუ კერძო სახლისა?

– კერძო სახლს იყიდის ადამიანი თუ კორპუსის ბინას, ეს უფრო გემოვნების საკითხია, მაგრამ ფინანსებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს: კერძო სახლის შეძენა საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. ვინც სახლს ყიდულობს, დიდი ფართობის ყიდვა უწევს – ეზოს ფართობს სახლის ფართობიც ემატება და სოლიდური თანხა გროვდება – უძრავი ქონება ხომ კვ.მეტრების მიხედვით ფასდება. საერთოდ, ბინა უფრო იაფი ღირს და უფრო კომფორტულია იმ ადამიანისთვის, ვინც ქალაქში ცხოვრებას არის მიჩვეული.

– თუმცა, ვინც ბინას კორპუსში ყიდულობს, ისიც არჩევანის წინაშე დგას – ახალ კორპუსში შეიძინოს თუ ძველში?

– რა თქმა უნდა, ახალი აშენებული ბინის ყიდვა სჯობს, თუ ის კარგად და ხარისხიანად არის აგებული. ახალი კორპუსები უფრო საინტერესოა კლიენტთა უმრავლესობისთვის. ზოგიერთი სამშენებლო კომპანიის მშენებლობა საკმაოდ ხარისხიანია, თუმცა არსებობენ ისეთებიც, ვისი აშენებული სახლებიც საეჭვო ხარისხისაა. ყველაფერს თავისი ფასი აქვს – ხარისხიანი მშენებლობა უფრო ძვირი ღირს და ასეთ კორპუსებში ბინები უფრო ძვირია. ამავე დროს, არის ახლად აშენებული კორპუსები, სადაც ბინები უფრო იაფია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი უხარისხოა. თუ მოსახლეობა უფრთხილდება კორპუსს, თუ კომუნიკაციამ არ გაჟონა და საძირკველში წყალი არ ჩადგა, შეიძლება სახლმა 50 წელი კი არა, 100-150 წელიც გაძლოს.

ამიტომ, კორპუსის მკვიდრებზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული. ყველა ნაგებობას აქვს ექსპლუატაციის საშუალო ვადა, მაგრამ მფლობელი თუ არ მოუფრთხილდება, შენობა ნაადრევად დაიშლება.

– ახალაშენებულ ბინას რამდენიმე მინუსი აქვს: მოუწესრიგებელი ეზო და ინფრასტრუქტურა, მტვერი და ხმაური... ალბათ ბევრი თქვენი კლიენტი ამასაც ითვალისწინებს, როცა ბინას ძველ კორპუსში ყიდულობს...

– ყოფით პრობლემებს ბევრი აქცევს ყურადღებას, მაგრამ ახლო მომავალში სიტუაცია შეიცვლება: წინა წლებში სტანდარტი არ არსებობდა, 2017 წელს კი, ქალაქის მერიამ შეიმუშავა რეგულაცია, რომლის მიხედვითაც ახალ კორპუსს აუცილებლად უნდა ჰქონდეს პარკინგი, რეკრეაციული ზონა და კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზეც წესრიგი უნდა იყოს. ვფიქრობ, რომ ეს ძალიან საჭირო და კარგი რეგულაციაა. ასეც რომ არ იყოს, ახალაშენებული ბინის, ან სახლის ყიდვა უფრო მომგებიანია, ვიდრე ძველისა, რადგან ძველ კორპუსებს უკვე ამოწურული აქვს ექსპლუატაციის ვადა, ან ძალიან ცოტა დრო აქვს დარჩენილი. რა ნაკლები ხარისხიც უნდა ჰქონდეს ახალ ნაგებობას, ის მაინც ახალია.

– რა უპირატესობის გამო ყიდულობს ზოგიერთი ოჯახი ბინას ძველ კორპუსში?

– ალბათ იმიტომ, რომ ძველი კორპუსები შემოწმებულია. ადრე არსებობდა ორგანიზაცია „საქსტანდარტი“, რომელიც საცხოვრებელ ბინებს ყველა იმ ნორმისა და სტანდარტის მიხედვით იბარებდა, რომელიც მაშინ იყო მიღებული. დღეს ამ საკითხს საპროექტო ბიურო და მერიის სამსახურები ამოწმებენ, რომლებიც შენობის გარეგნულ იერსახესა და პროექტის შესრულებას აქცევენ ყურადღებას. ჩვენთან სამშენებლო მასალის ხარისხის დამდგენი სტრუქტურა არ არსებობს, რომელიც გააკონტროლებს, რა ხარისხის ცემენტი, ან არმატურაა გამოყენებული მშენებლობის დროს, არ არსებობს უწყება, რომელიც სინჯებს აიღებს და ლაბორატორიულ კვლევას ჩაატარებს. შეიძლება შენობა ძველი იყოს, მაგრამ ძალიან მტკიცე იყოს. არ არსებობს შკალა, რომლის მიხედვითაც დავადგენთ, რამდენ ხანს გაძლებს ახალი კორპუსი, რომ ის სეისმურად მედეგია, ან რამდენ ბალზეა გათვლილი – არის მხოლოდ ზოგადი სტანდარტები და ამის მიხედვით ხელმძღვანელობს ყველა სამშენებლო კომპანია.

– ყიდვამდე თუ შეუმოწმებია ბინა თქვენს რომელიმე კლიენტს?

– რა თქმა უნდა, ასეთი შემთხვევაც ყოფილა. პროფესიით მშენებელი ვინც არის, თითქმის ყველას აინტერესებს, როგორ ნაგებობაში ყიდულობს ბინას. შენობის ხარისხის შესამოწმებლად ერთადერთი გზა არსებობს: სამხარაულის სახელობის საექსპერტო ბიურო. ეს საკმაოდ ძვირადღირებული სერვისია, რის გამოც ყველას არა აქვს საშუალება, შენობის ხარისხი გადააmოწმოს.

– დაბოლოს, მრავალსართულიან კორპუსში ჯობს ბინის შეძენა თუ 3-4-სართულიანში?

– როდესაც სამშენებლო კომპანია პროექტს ადგენს და მშენებლობას იწყებს, იმ ადგილს საფუძვლიანად იკვლევს შესაბამისი პერსონალი – ტარდება გეოლოგიური და გეოდეზიური კვლევები. გარდა ამისა, ქალაქის საპროექტო სამსახურს დადგენილი აქვს სიმაღლის კოეფიციენტი, რომლის მიხედვითაც წყვეტენ, რა სიმაღლის ნაგებობა უნდა აშენდეს ამა თუ იმ ადგილზე. ვერცერთი მშენებელი თავისი შეხედულებით ვერ განსაზღვრავს, 3-სართულიანი კორპუსი აგოს თუ 15-სართულიანი. ამიტომ, სად და რამდენსართულიან კორპუსში შეიძენთ ბინას, თქვენს გემოვნებასა და მატერიალურ შესაძლებლობებზეა დამოკიდებული.

განზრახ მკვლელობა გლდანში — შსს-მ ბრალდებული დააკავა



გამთენიისას ურთიერთშელაპარაკებისას საკუთარ საცხოვრებელ ბინაში 44 წლის მამაკაცმა სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა 1967 წელს დაბადებულ პირს, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა.

შსს-ს ინფორმაციით, დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

– შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოსა და გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1973 წელს დაბადებული ვ.ლ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 10 აგვისტოს, გამთენიისას, საკუთარ საცხოვრებელ ბინაში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ნაცნობს – 1967 წელს დაბადებულ გ.პ.-ს ცივი იარაღის გამოყენებით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა, რის შედეგადაც იგი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ი.ბ. თბილისში, ცხელ კვალზე დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი, დანა, ნივთმტკიცებად ამოიღო.

ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით), – აღნიშნულია შსს-ს განცხადებაში.

თბილისში უკანონო თევზჭერის მორიგი ფაქტი გამოვლინდა



გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მდინარე მტკვარზე უკანონო თევზჭერის ფაქტი გამოავლინეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო-დან აცნობეს, თბილისში, ზაჰესის დასახლების მიმდებარედ, მოქალაქე აკრძალული იარაღით – ე.წ. ელექტროშოკური აპარატის გამოყენებით ნავიდან ახდენდა უკანონო თევზჭერას. მას მოპოვებული ჰქონდა 23 კგ სხვადასხვა სახეობის თევზი. ამოღებული და დალუქულია რეზინის გასაბერი ნავი, სამართალდარღვევის იარაღები და უკანონოდ მოპოვებული თევზი.

მოქალაქის მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი. სამინისტროს ინფორმაციით, ფაქტი შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს. მასალები, შემდგომი რეაგირებისთვის, შესაბამის ორგანოს გადაეგზავნა.

მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მოტოციკლისტს მანქანა დაეჯახა

მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ვახუშტის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. ერთმანეთს მინივენი და მოტოციკლი შეეჯახნენ. არსებული ინფორმაციით, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზიანებები მიიღო მოტოციკლისტმა. ის საავადმყოფოშია გადაყვანილი.

შემთხვევის ადგილზე საპატრულო პოლიცია მუშაობდა.

ავტოსაგზაო შემთხვევის გამო მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მცირეოდენი საავტომობილო შეფერხებაა.

მეორე პირი 19 წლის ანა ხელაძის მკვლელობაში? — შემზარავი ტრაგედიის ახალი დეტალები

19 წლის ანა ხელაძის მკვლელობის საქმეში ბრალდებულ რობერტ ახალაიას ადვოკატი, ოლგა გეჯაძე, „ნიუპოსტთან“ აცხადებს, რომ გამოძიება სასტიკი მკვლელობის ირგვლივ სხვადასხვა მიმართულებით მუშაობს.

ადვოკატმა შესაბამისი კომენტარი გავრცელებულ ინფორმაციაზე საპასუხოდ გააკეთა, რომლის მიხედვითაც ანა ხელაძის მკვლელობაში შესაძლოა მეორე პირის ბრალეულობა გამოვლინდეს.

გეჯაძე ამბობს, რომ ბრალდებულ ახალაიას აღიარების მიუხედავად, გამოძიება გრძელდება ამიტომ ვერსიას, რომ რობერტ ახალაია რეალურ მკვლელს ხელს აფარებდეს, არსებობის უფლება აქვს.

ბრალდებულის ადვოკატი მისი დაცვის ქვეშ მყოფის პოზიციას არ ახმაურებს.

ოლგა გეჯაძემ „ნიუპოსტს“ უთხრა, რომ რობერტ ახალაიას ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის შესამოწმებლად ექსპერტიზა ჩაუტარდა. დასკვნა რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.

– მკვლელობაში მეორე პირის ბრალეულობის გამოვლენასთან დაკავშირებით არაფერი გამოვლენილა, უბრალოდ, გამოძიება მიმდინარეობს. ველოდებით ექსპერტიზების დასკვნას. ამ ეტაპზე მეორე პირის შესახებ არაფერი გამოკვეთილა. გამოძიება ყველა ვერსიაზე მუშაობს. იმან (ბრალდებულმა) რომ თქვა პროცესზე, მე ჩავიდინეო, ეს იმას არ ნიშნავს, რომ გამოძიება მხოლოდ ამ განცხადებას დაეყრდნოს. მოკლედ, უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი ექსპერტიზის პასუხები და თუ რამე ისეთი გამოიკვეთება, ხელს ნამდვილად არ დააფარებენ. ყველა ვერსიას ამუშავებენ, გამოვლენილი არავინ არის, თუმცა ყველა ვერსიას აქვს არსებობის უფლება, – განაცხადა ადვოკატმა.

შეგახსენებთ, რომ 19 წლის ანა ხელაძე 16 ივლისს უზნაძის ქუჩაზე მოკლეს. მკვლელობაში ბრალდებული რობერტ ახალაია სამართალდამცავებმა ფოთში დააკავეს.

სასტიკი მკვლელობა დაახლოებით 17:00-ზე მოხდა. სამის მასალების მიხედვით, ამ დროს, რობერტ ახალაია და ანა ხელაძე სახლში მარტო იმყოფებოდნენ. ბინის პატრონი, რომელიც ანა ხელაძის დეიდა და რობერტ ახალაიას მამიდა იყო, ფოთში საკუთარ მცირეწლოვან შვილებთან ერთად იყო წასული.

საქმის პროკურორმა გრიგოლ ბიბილაშვილმა განაცხადა, რომ, ექსპერტიზის წინასწარი დასკვნით, ხელაძეს 8 ჭრილობა აქვს მიყენებული.

როგორც პროკურორმა აღნიშნა, ბრალდებულმა 19 წლის გოგონას ყელისა და კისრის არეში დანით მრავლობითი ჭრილობები მიაყენა, შემდეგ ტანსაცმელი გამოიცვალა, ზურგჩანთაში მოათავსა და მიიმალა.

პროკურორის თქმით, ახალაია მის მიერ მიცემული ჩვენებით, დანაშაულს, ფაქტობრივად, აღიარებს.

– თავიდან არ მინდოდა პოლიციაში მისვლა, მაგრამ მერე ფოთში რომ ჩავედი და ღამე გავათენე, ზღვაზე პოლიციაც რომ მოვიდა, გავყევი და გზაში მივხვდი, რომ ასე ჯობდა, – აღნიშნა სასამართლოზე თავად ბრალდებულმა.

თემურ ჯანაშია: „ბრალდება ხმამაღლა რომ წაიკითხო, შეიძლება „გააცინე და მოიგეში“ 2.000 ლარი მოიგო“

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ყოფილმა უფროსმა თემურ ჯანაშიამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ დოქტორ დოტის თბილისში ვიზიტთან დაკავშირებით საქმე არ არის აღძრული და მისი ვიზიტის ხარჯები სდსს-ს არ გაუწევია.

როგორც ჯანაშიამ სასამართლოში „პიჯაკების საქმის“ დაწყებამდე განაცხადა, დოქტორ დოტის თბილისში ვიზიტთან დაკავშირებით საქმე არ არის აღძრული.

– დოქტორ დოტის დაკითხვაზე ინფორმაცია საერთოდ „ღადაობაა“.

დოქტორ დოტიზე საერთოდ მასალები არ არის და მისი ხარჯი საერთოდ სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს არ გაუწევია. ეს ინფორმაცია არის შავი პიარისთვის. დოქტორ დოტი იყო ჩამოსული თბილისში და მისი ეს მოგზაურობა დააფინანსა ადმინისტრაციამ. ბრალდება ხმამაღლა რომ წაიკითხო, შეიძლება „გააცინე და მოიგეში“ ორი ათასი ლარი მოიგო. იქ წერია, რომ დოქტორი დოტის ჩამოსვლა რადგან საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, ამიტომ დაადო პრეზიდენტმა გრიფი მსგავს ხარჯებს და ამით გაიფლანგა თანხები.

დოქტორ დოტის ვიზიტის ხარჯები პროკურატურაში დევს, საქმე არ არის აღძრული, არავინ დაუკითხავთ ადმინისტრაციიდან მარტივი მიზეზის გამო – მე ვიყავი სამიზნე და არა ადმინისტრაცია, – განაცხადა სდსს-ს ყოფილმა უფროსმა.

ბრალდების მხარე ირწმუნება, რომ მოწმე დაადასტურებს, თუ როგორ მოხდა მასაჟისტის, ექიმ დოტის ჩამოყვანა საქართველოში და ასევე იმ ფაქტს, რომ ის პრეზიდენტს უწევდა მომსახურებას.

პროკურორის ინფორმაციით, დოქტორ დოტის ვიზიტზე გაწეული ხარჯების შემდეგ ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ხარჯების გასაიდუმლოება გადაწყვიტა. ამის შესახებ ე.წ. პიჯაკების საქმის პროკურორმა ნათია სონღულაშვილმა განაცხადა. როგორც მან აღნიშნა, გუშინდელ პროცესზე გამოკვლეულ იქნა დოქტორ დოტის ვიზიტის როგორც ხარჯები, ასევე სხვა დეტალები.

– 2009 წლის თებერვალში იყო ჩამოსული და როდესაც საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა ამ ვიზიტზე გაწეული ხარჯების შესახებ, ამან გამოიწვია საზოგადოების აღშფოთება. ამ აღშფოთების გამო, გადაწყდა რომ მსგავსი ხარჯები, როგორიც იყო დოქტორ დოტის ვიზიტი, კერძოდ, ბოტოქსის, ეპილაციის, მიხეილ სააკაშვილის მეგობრებისთვის საჩუქრების ხარჯები, გასაიდუმლოებულიყო. ვინაიდან სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური ნახევრად გასამხედროებული ორგანოა და მისი ბიუჯეტი, ასევე ხარჯები არის საიდუმლო, გადაწყდა, რომ ეს ფარული ხარჯები გაწეულიყო ამ ორგანოს მიერ, – განაცხადა ნათია სონღულაშვილმა.

მისივე თქმით, გამოძიება ყოფილ პრეზიდენტს 9 მილიონ ლარზე მეტი საბიუჯეტო სახსრების გაფლანგვას ედავება.

თემურ გიორგაძე: „საგანგებო სიტუაციების სამსახურის გასაძლიერებლად, პირველ რიგში, ვერტმფრენები უნდა შეიძინონ“

საგანგებო სიტუაციების სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი თემურ გიორგაძე მიიჩნევს, რომ სამსახურის გასაძლიერებლად, პირველ რიგში, ახალი ტექნიკისა და ვერტმფრენების შეძენაა საჭირო.

როგორც გიორგაძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, საგანგებო სიტუაციათა სამსახური გაძლიერებას ყოველთვის საჭიროებს, რადგან ერთ ადგილზე გაჩერება მის ჩამოშლას ნიშნავს.

– მე როდესაც ამ სამსახურს ვხელმძღვანელობდი, ყოველწლიურად ვაძლიერებდით ახალ-ახალი ტექნიკითა და შეიარაღებით. ჩემი ყოფნის პერიოდში კიდევ უფრო დიდი გეგმები იყო, როგორ უნდა გაძლიერებულიყო. პირველ რიგში, საჭიროა მძიმე ტექნიკა. ვერტმფრენი აუცილებელია, რომ შეიძინონ. აუცილებელია რამდენიმე ვერტმფრენი – ერთი აღმოსავლეთში, ერთი დასავლეთში, ასევე ცალკე თბილისში, რომ გადანაწილდეს ეფექტურად. ზოგადად, რასაც ვუყურებ საგანგებო სიტუაციების მხრივ არ ვართ კარგ მდგომარეობაში, რადგან ახალი ტექნიკით არ ვართ აღჭურვილები. ავტომობილებიც ისევ ისინი გვყავს, რომლებიც ჩემ დროს გვყავდა. რაც შეეხება პირადი შემადგენლობის რაოდენობას, საკმარისი მეხანძრე-მაშველი დავტოვე, თუმცა, მგონი, შემდეგ შემცირება მოხდა. მეხანძრეების შემცირებას ისინი შეამცირონ, ჯობს, ვინც უსაქმოდ სხედან, – განაცხადა გიორგაძემ.

ამასთან, საგანგებო სიტუაციათა სამსახურის ყოფილი უფროსი არ ეთანხმება იმ კრიტიკას, რომელიც მთაწმინდის ხანძრის დროს ვერტმფრენების არგამოყენებამ გამოიწვია.

– ხანძარი ჩაქრა, რაც მეხანძრეების მუშაობის ეფექტურობაზე მიუთითებს. რაც შეეხება ვერტმფრენებს, ყველგან არ გამოიყენება. ეგრე არ არის, ყველგან, სადაც ცეცხლი წაეკიდება ვერტმფრენი გამოიყენო. შესაბამისი ვერტმფრენები არ გვყავს. რომლებზეც საუბრობდნენ მთაწმინდის ხანძართან დაკავშირებით, ის არის საზღვრის დაცვის ვერტმფრენი, რომელიც 5 ტონა წყალს უშვებს. სახანძრო-სამაშველო ვერტმფრენს უნდა ჰქონდეს სპეციალური აღჭურვილობა, რაც ამ ვერტმფრენებს არ აქვთ. არასპეციალიზებული ვერტმფრენების გამოყენება ზოგადად რისკია. ასე რომ, უნდა შევიძინოთ სპეციალური ვერტმფრენი, რომელიც ყველა ვითარებაში იმუშავებს. ქარი იყო, ვერტმფრენმა შესაძლოა, კიდევ უფრო გააღვივოს ცეცხლი და, აქედან გამომდინარე, სავარაუდოდ, ვერტმფრენის საჭიროება არ ყოფილა, – განაცხადა გიორგაძემ.

პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის აზრით, საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს.

როგორც პრემიერ-მინისტრმა მთავრობის დღევანდელ სხდომაზე განაცხადა, ტურისტების რაოდენობის მატებასთან ერთად, გამოწვევებიც იზრდება და უნდა ვიფიქროთ, როგორ უნდა გავაუმჯობესოთ სტრუქტურის მუშაობა გაზრდილი გამოწვევების პირობებში.

შსს-მ უკანონო იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკანონო იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო. უწყების ინფორმაციით, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოს თანამშრომლებმა 1983 წელს დაბადებული ი.დ. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით თბილისში დააკავეს.

სამინისტროს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა ბრალდებულის ავტომანქანის ჩხრეკისას მაკაროვის კონსტრუქციის 2 პისტოლეტი და 12 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტზე მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით.

2017, 11 აგვისტო, №189

ტერაქტი პარიზში: დაშავებულია 6 სამხედრო

საფრანგეთის დედაქალაქი ახალმა ტერაქტმა შეძრა. პარიზის გარეუბან ლევარულუა-პერეში სამხედროებს თავს დაესხნენ. თავდასხმა კარგად იყო ორგანიზებული.

– ლევარულუა-პერე წყნარი უბანია. აქ განთავსებულია ყაზარმა. ამ რაიონში ქუჩის ჩხუბიც კი იშვიათობაა, – იტყობინება ნტვ.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, აქ ტერაქტს არავინ მოელოდა. როგორც ჩანს, თავდამსხმელებმა ეს გაითვალისწინეს.

ბმვ-ს მარკის ავტომობილი ყაზარმის წინ იდგა. როგორც კი ყაზარმიდან სამხედროები გამოვიდნენ, ის უმალ ადგილს მოსწყდა და მათ ნაკადში შეიჭრა.

– ფრანგი სამხედროები მიწაზე მოცელილებივით ეცემოდნენ, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

ტერორისტმა პანიკით ისარგებლა და გაიქცა. საფრანგეთის პოლიცია, ყველა ანტიტერორისტული ქვედანაყოფი უმალ ფეხზე დადგა. ამან შედეგი გამოიღო. მანქანა, რომელშიც ტერორისტი იჯდა, გზატკეცილზე ბლოკირებულ იქნა.

– წინადადებაზე, დანებებულიყო, თავდამსხმელმა ცეცხლი გახსნა, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

ფრანგული პოლიცია ასეთ ექსტრემალურ სიტუაციაში უაღრესად პროფესიულად მოიქცა. მან საპასუხო ცეცხლი გახსნა, რის შედეგადაც ტერორისტი დაიჭრა. ამის შემდეგ ის აიყვანეს.

– სამხედროებზე თავდამსხმელი დაკავებულია, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

ფრანგი ძალოვნები ჯერჯერობით დაკავებულის ვინაობას არ აცხადებენ. ითქვა მხოლოდ, რომ იგი 37 წლისაა. ასევე უცნობია, თუ კონკრეტულად რომელი ტერორისტული ორგანიზაციის დავალებით მოქმედებდა.

– არ გამოვრიცხავთ, რომ ტერორისტი საკუთარი ინიციატივით მოქმედებდა ან სულაც შეურაცხადია, – ამბობენ ფრანგი ძალოვნები.

რაც შეეხება სამხედროებს, ისინი ჰოსპიტალიზებულნი არიან. ორი მათგანის მდგომარეობა მძიმეა.

ჯეიმს მატისმა ჩრდილოეთ კორეას ულტიმატუმი წაუყენა

აშშ-სა და ჩრდილოეთ კორეას შორის კონფრონტაცია ღრმავდება. ჩრდილოეთ კორეის დიქტატორ კიმ ჩენ ინის მუქარას, ამერიკას დავარტყამო, დონალდ ტრამპის პასუხი მოჰყვა: ასეთ შემთხვევაში ჩრდილოეთ კორეას პირისაგან მიწისა აღვგვითო. პრეზიდენტს მხარი აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ჯეიმს მატისმაც დაუჭირა. მან ჩრდილოეთ კორეას ულტიმატუმი წაუყენა:

– თუ თვითიზოლაციის პოლიტიკას არ შეწყვეტთ და ავანტიურისტულ მოქმედებებს გააგრძელებთ, შავი დღე დაგადგებათ. აშშ-სთან კონფრონტაცია ჩრდილოეთ კორეის რეჟიმის კრახსა და მისი მოქალაქეების დაღუპვას ნიშნავს, – თქვა მატისმა.

ამ სიტყვებმა ბევრი შეაშფოთა. აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ტილერსონი სიტუაციის განმუხტვას შეეცადა. მან განაცხადა, რომ შეიარაღებული დაპირისპირების საფრთხე მინიმალურია. ტილერსონის აზრით, ჩრდილოეთ კორეის დიქტატორ კიმ ჩენ ინის მუქარა, აშშ-ზე სარაკეტო დარტყმას განვახორციელებო, სერიოზულად არ უნდა იქნეს აღქმული.

– კიმ ჩენ ინს რომ ჩვენზე სარაკეტო დარტყმის განხორციელება სდომებოდა, ფუჭ განცხადებებს არ გააკეთებდა. მას ჩვენი შეშინება სურდა, რაც არ გამოუვიდა, – თქვა ტილერსონმა.

ცნობილი ამერიკელი პოლიტიკოსი, სენატორი მაკეინი, სკეპტიკურად ეკიდება ტრამპის მუქარას, ჩრდილოეთ კორეას პირისაგან მიწისა აღვგვიო. მაკეინის აზრით, პრეზიდენტს მეტი თავშეკავება მართებს.

– არა მგონია, ასეთი გამოწვევების ჟამს მუქარა საუკეთესო გამოსავალი იყოს, – თქვა მაკეინმა.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცსს) ანალიტიკოსები, თავის მხრივ, მიიჩნევენ, რომ აშშ- ჩრდილოეთ კორეის დაპირისპირებას სერიოზული მსხვერპლი მოჰყვება. ამერიკასთან ომში ჩრდილოეთ კორეას გამარჯვების არავითარი შანსი არა აქვს. აშშ-ს შეუძლია, ჩრდილოეთ კორეის მთელი სამხედრო მანქანა მწყობრიდან გამოიყვანოს. კიმ ჩენ ინსაც სხვა გამოსავალი აღარ დარჩება, გარდა იმისა, რომ მოლაპარაკების მაგიდას მიუჯდეს.

– ჩრდილოეთ კორეის დიქტატორი შეეცდება, ამით სიცოცხლე გადაირჩინოს, აშშ-სთან მოლაპარაკებებისას კი გამოიყენოს როგორც ჩინეთი, ასევე რუსეთი, – თვლიან ცსს-ის ანალიტიკოსები.

ამავე დროს, ამერიკის დაზვერვის ანალიტიკოსები ხაზს უსვამენ, რომ ჩრდილოეთ კორეას გააჩნია პოტენციალი, რათა სამხრეთ კორეის ყველაზე მჭიდროდ დასახლებული რაიონები დაბომბოს. ამ შემთხვევაში მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლი ძალიან დიდი იქნება. თუკი მოვლენები ასეთი სცენარით განვითარდა, აშშ-ს სხვა ალტერნატივა აღარ დარჩება, გარდა ჩრდილოეთ კორეაში შეჭრისა და კიმ ჩენ ინის დასჯისა, როგორც თავის დროზე ერაყის დიქტატორი სადამ ჰუსეინი დაისაჯა.

გავლენიანი ამერიკელი სენატორი გრემი თვლის, რომ საქმე ომამდე არ მივა. აშშ ბოლო მომენტამდე შეეცდება, თავი შეიკავოს და ომი აიცილოს.

– დარტყმას მხოლოდ იმ შემთხვევაში განვახორციელებთ, თუკი ჩრდილოეთ კორეა კუნძულ გუამს შეუტევს (იქ, როგორც ცნობილია, ჩვენი ბაზაა განთავსებული) ან გააგრძელებს ისეთი ბალისტიკური რაკეტების დამზადების მცდელობას, რომელსაც ჩვენს ტერიტორიამდე მიღწევა შეეძლება, – ამბობს გრემი.

სენატორის აზრით, აშშ-ის ხელმძღვანელობა უნდა დაფიქრდეს შემდეგზე: შეიარაღებული დაპირისპირების შემთხვევაში დიდი მსხვერპლი გარდაუვალია; მართალია, ჩრდილოეთ კორეას გადარჩენის არავითარი შანსი არ რჩება, მაგრამ მისი განადგურება ნამდვილად არ ღირს იმ ათასობით ადამიანის მსხვერპლის ფასად, რაც შეიარაღებულ კონფრონტაციას მოჰყვება.

გფბ-მ მანაფორტის ბინის ჩხრეკა ჩაატარა

გამომძიების ფედერალურმა ბიურომ (გფბ) დონალდ ტრამპის საარჩევნო შტაბის ექსხელმძღვანელ მანაფორტის ბინა გაჩხრიკა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მანაფორტმა სენატის კომიტეტის წარმომადგენლებს ჩვენება მისცა. საუბარი მანაფორტის რუს ადვოკატ ვესელნიცკაიასთან კონტაქტებს შეეხებოდა.

მანაფორტი აშშ-ის არჩევნებში რუსების ჩარევის საქმეში მთავარი მოწმეა.

გერმანიაში ანგელა მერკელი ლიდერობს

თანახმად უკანასკნელი სოციოლოგიური გამოკითხვებისა, ანგელა მერკელი კვლავ ქვეყნის ყველაზე პოპულარულ მოღვაწედ რჩება. მართალია, მისმა პოპულარობამ 2%-ით დაიწია, მაგრამ მერკელი ლიდერობას მტკიცედ ინარჩუნებს. დღეისათვის მისი რეიტინგი 50%-ია (ერთი თვის წინ ის 52%-ს აღწევდა). მერკელის უმთავრეს კონკურენტ შულცს მხარს 23% უჭერს (ერთი კვირის წინ ეს მაჩვენებელი 21% იყო).

რაც შეეხება პოლიტიკურ პარტიებს, აქ პირველობას ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი ინარჩუნებს. მისი ლიდერი ანგელა მერკელია. ამ ორგანიზაციას მხარს 40% უჭერს. მისი უმთავრესი ოპონენტების, სოციალ-დემოკრატების მხარდამჭერთა რაოდენობა კი 20%-ია.

ვლადისლავ სურკოვი კურტ ვოლკერს შეხვდება

რუსეთის პრეზიდენტის წარმომადგენელი ვლადისლავ სურკოვი ამერიკელ დიპლომატ კურტ ვოლკერს შეხვდება. როგორც ცნობილია, სურკოვი დონბასის საკითხს კურირებს, ვოლკერი კი დონბასის კონფლიქტის დარეგულირებაში აშშ-ის პრეზიდენტის წარმომადგენელია.

თანახმად რტრ-ის ცნობისა, შეხვედრის ზუსტი თარიღი ჯერ არ არის ცნობილი. სავარაუდოდ, შეხვედრა მოსკოვში აგვისტოს ბოლოსთვის გაიმართება. მოლაპარაკების ძირითადი თემა მინსკის შეთანხმებები და დონბასში ფართომასშტაბიანი ომის თავიდან აცილება იქნება.

სააკაშვილი: „რუსეთმა ბელორუსის ანექსია განიზრახა!“

საქართველოს ექსპრეზიდენტმა მიხეილ საკაშვილმა განაცხადა, რომ რუსეთმა ბელორუსში ყირიმის სცენარის განმეორება განიზრახა. ყველაფერი მოხდება სამხედრო სწავლება „დასავლეთი-2017“-ის დროს, რომელიც ბელორუსის ტერიტორიაზე გაიმართება.

– ამ დროს ბელორუსში რუსული არმია უნდა შევიდეს! ამას ქვეყნის ანექსია მოჰყვება, – ამბობს სააკაშვილი.

ბელორუსის პირველმა პირებმა სააკაშვილის სიტყვებზე კომენტარი არ გააკეთეს. უკრაინის პარლამენტის ექსდეპუტატი ინა ბოგოსლოვსკაია, თავის მხრივ, მიიჩნევს, რომ ბელორუსის ანექსიის საფრთხე რეალურია.

– ბელორუსში ჩატარდა რეფერენდუმი ერთიანი სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნის გარშემო. ხალხმა ამას მხარი დაუჭირა. პუტინს შეუძლია, ეს თითზე დაიხვიოს და განაცხადოს, რომ დროა, ხალხის ნება აღვასრულოთ, – თქვა ბოგოსლოვსკაიამ.

ყოფილი დეპუტატის აზრით, ბელორუსები მზად არ არიან საიმისოდ, რომ რუსეთის არმიას შეებრძოლონ. ანექსიის მცდელობის შემთხვევაში პუტინს ნამდვილად არ შეხვდება ის წინააღმდეგობა, რომელიც უკრაინაში შეხვდა.

– თანახმად უკანასკნელი სოციოლოგიური კვლევებისა, ბელორუსების 20% დამოუკიდებლობის მომხრეა, 19% წინააღმდეგია. დანარჩენებს ეს საკითხი არ აინტერესებთ. მათთვის მთავარია სოციალური პრობლემების მოგვარება და არა ეროვნული იდეალები, – აცხადებს ბოგოსლოვსკაია.

სააკაშვილის სიტყვებმა კრემლი აღაშფოთა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა მათ სისულელე უწოდა.

– სააკაშვილი გადაიქცა ტაკიმასხარად, რომელსაც აღარც სამშობლო აქვს, აღარც სახლ-კარი, ამიტომაც ექსტრავაგანტურ განცხადებებს აკეთებს, რათა ყურადღების ეპიცენტრში დარჩეს! – ამბობს ლავროვი.

პოლონეთის ინტელიგენცია: „ლიტველებსა და უკრაინელებს მტრებად ნუ მოვიკიდებთ!“

პოლონეთის მიერ ახალი პასპორტების მომზადებამ როგორც პოლონელი, ასევე უკრაინელი დიპლომატების პროტესტი გამოიწვია, რადგან პასპორტებზე გამოხატულია როგორც ლვოვის, ასევე ვილნიუსის დამცველთა საფლავების ფოტოები.

– ვილნიუსი და ლვოვი გასული საუკუნის ოციან წლებში პოლონეთის მიერ იყვნენ ოკუპირებულნი. ამან საფუძველი დაუდო პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტს (ვილნოს კონფლიქტი), აგრეთვე დასავლეთ უკრაინაში ანტიპოლონური განწყობილებების გაძლიერებას, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

თანახმად უკანასკნელი სოციოლოგიური გამოკითხვებისა, პოლონელთა 80% ახალი პასპორტების გაცემის წინააღმდეგია. პოლონური ინტელიგენციის ცნობილმა წარმომადგენლებმა კი პოლონეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს თხოვნით მიმართეს, რათა ასეთი პასპორტების გაცემისაგან თავი შეიკავონ.

– მოდით, ლიტველებსა და უკრაინელებს მტრად ნუ მოვიკიდებთ! ჩვენ გვყავს საერთო მტერი რუსეთი და მის წინააღმდეგ უნდა გავერთიანდეთ! – ნათქვამია მიმართვაში.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

მკურნალობა

● ნანა ქიბროწაშვილი – ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის.: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები. გარანტიით! ტელ: 555-72-64-98.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

საქართველო იაპონიასთან დამარცხდა. დანიამ ეგვიპტეს ქულა აჩუქა

თბილისში გრძელდება 19 წლამდე მსოფლიოს ჩემპიონატი ხელბურთში და, სანამ მე-2 ტურის ამბებს გეტყოდეთ, მანამდე პირველ ტურს დავუბრუნდეთ. როგორც ვწერდით, პირველ ტურში დანიამ 29:28 მოუგო ეგვიპტეს. ნამატჩევს ეგვიპტელები შედეგს აპროტესტებდნენ – აქაოდა, მსაჯებმა დანიელების ერთი გოლი ორად ჩათვალესო. როგორც გაირკვა, ასეც მოხდა...

საერთოდ, დაფიქსირებული შედეგი არ უქმდება, ამიტომაც ეგვიპტელების პროტესტს დიდი აზრი არ ჰქონდა, გარდა იმისა, რომ ოქმის შემდგენი ხორვატიელი მსაჯი ტურნირიდან მოხსნეს. თუმცა, დანიელები დიდსულოვნად მოიქცნენ და ეგვიპტელებს უთხრეს, რახან არ იშლით, იყოს ფრე, ჩვენ ქულას დავიკლებთო და საბოლოოდ, მატჩის შედეგად 28:28 დაფიქსირდა.

ახლა მე-2 ტურის ამბები...

B ჯგუფი

საქართველო-იაპონია 22:30

ბექა ორჯონიკიძის გაწვრთნილი საქართველოს ნაკრები იაპონიასთან 22:30 დამარცხდა. შეცდომები დაცვაში და გაუმართლებელი გადაწყვეტილებები თავდასხმაში – წაგება ამით უნდა აიხსნას. შეცდომებს ნერვიულობა იწვევს, ნერვიულობა კი, მოგეხსენებათ, ასეთი დონის ტურნირების დებიუტანტების თანამდევია. საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები ხომ პირველად ასპარეზობს მსოფლიო პირველობაზე.

იაპონიამ, თავის მხრივ, არანაკლებ ბევრი შეცდომა დაუშვა, განსაკუთრებით პირველ ტაიმში და მეორე ნახევრის დასაწყისში, თუმცა ორჯერ მაინც მოახერხა რამდენიმე ბურთით „გაქცევა“. პირველად დაახლოებით მე-5 წუთზე, მეორედ კი მეორე ნახევრის შუაში, როცა ქართველმა ჭაბუკებმა ორ ბურთამდე შეამცირეს სხვაობა – 16:18.

იმ მომენტში გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ერეკლე არსენაშვილი მსაჯებმა მესამედ და საბოლოოდ „დაასვენეს“ და მატჩის ბედიც სწორედ მაშინ გადაწყდა. იაპონელებმა ჩინებულად ისარგებლეს საქართველოს ნაკრების დაცვის მორღვევით, სწრაფი იერიშებით გაიჭრნენ წინ, მასპინძლებმა კი მე-17 გოლის გატანა თითქმის 5-წუთიანი ინტერვალის შემდეგ შეძლეს – ლუკა ბულბულაშვილმა 7-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით დალაშქრა იაპონელთა კარი.

თამაშის მიწურულს გიორგი ტიელიძემ ზედიზედ სამჯერ გაიტანა, თითქმის ერთნაირ სტილში – მაღალ ნახტომში, მეკარისგან შორეულ დაბალ კუთხეში, თუმცა მისი ძალისხმევა არასაკმარისი გამოდგა.

აუცილებლად უნდა გამოვარჩიოთ ნაკრების სათადარიგო მეკარის გიორგი ფერაძის დამაჯერებელი თამაში. მწვრთნელის გადაწყვეტილებით მან მალევე შეცვალა ალექსანდრე ხანდოლიშვილი და მშვენივრად ითამაშა. არაერთი მოგერიებული შეტევის გარდა ფერაძემ გოლის გატანაც კი მოახერხა – საკუთარი კარიდან ზუსტი დარტყმით ანგარიში 7:11 გახადა.

საქართველოს ნაკრების საუკეთესო მოთამაშედ კი ლუკა ბულბულაშვილი დასახელდა. მან, ირაკლი კბილაშვილის დარად, 5 ბურთი შეაგდო, თუმცა ყველაზე ეფექტური ბოლო, მე-20 წუთზე გატანილი გამოდგა – თავის ნახევრიდან ბურთი თავზე გადაუგდო იაპონელთა მეკარეს. იაპონიის ნაკრებიდან ტექნიკურმა კომისიამ ნომერი 3, ტაკუმი სუეოკა გამოარჩია.

ბექა ორჯონიკიძე, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

– მეტოქესთან შედარებით გამოუცდელები ვართ და ვთვლი, რომ სწორედ ესაა წაგების მთავარი მიზეზი. ბევრი ტექნიკური წუნი გვქონდა, ამას დაემატა ჩვენი გუნდის ერთ-ერთი ლიდერის ერეკლე არსენაშვილის გაძევებაც. ერეკლე ძლიერია თავდასხმასა და დაცვაში, მისი არყოფნა კი განსაკუთრებით დაცვას დაეტყო. საერთო ჯამში, ამ მატჩისთვის მეტოქე აღმოჩნდა უკეთ მომზადებული.

გერმანია-ალჟირი 37:19

ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთმა ფავორიტმა, გერმანიის ნაკრებმა, ზედიზედ მე-2 მატჩი მოიგო.

18-ბურთიანი უპირატესობა, ცხადია, შთამბეჭდავია, თუმცა სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ბეპლერის გუნდს უფრო დიდი ანგარიშით მოგება შეეძლო. გერმანიამ პირველი ნახევარი 17:4 მოიგო, შესვენების შემდეგ კი მწვრთნელმა სათადარიგოები გამოცადა და ამით თუ აიხსნება ალჟირის გააქტიურება. აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ალჟირელთა მიერ საწყის ნახევარ საათში გატანილი 4 გოლი, ჯერჯერობით, ამ ჩემპიონატის ანტირეკორდია. მთელ მატჩში გატანილი 19 გოლიც მხოლოდ ერთით არის მეტი მექსიკელთა ანტირეკორდზე. შეგახსენებთ: პირველ ტურში მექსიკა 18:29 დამარცხდა სერბეთთან.

მატჩის ბედი შესვენებამდე გადაწყდა, პირველ ტაიმში გერმანელთა 17 გოლიდან 12 კი გარემარბებმა გაიტანეს.

ისლანდია-ჩილე 27:22

ჩვენს ჯგუფში ერთმანეთს ასევე ისლანდიისა და ჩილეს გუნდები დაუპირისპირდნენ. პირველი ტურის მატჩებში ჩილემ გერმანიასთან სოლიდური სხვაობით წააგო, ხოლო ისლანდიამ იაპონიასთან იწვალა და მხოლოდ 2 ბურთით აჯობა.

ჩილესთან შედარებით, ისლანდია გაცილებით დიდი სახელბურთო ტრადიციების ქვეყანაა და შესაბამისად ამ ორი გუნდის ჯახში ფავორიტებად ევროპელები მოიაზრებოდნენ, თუმცა სამხრეთ ამერიკელები ასე სუღაც არ ფიქრობდნენ და საწყისი 22 წუთი ანუ თითქმის მთელი პირველი ტაიმი მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს. საბოლოოდ პირველი ნახევარი ისლანდიამ 12:9 მოიგო.

რაც შეეხება მეორე ტაიმს, ის მთლიანად ისლანდიელთა კარნახით წარიმართა. ვერ ვიტყვით, რომ ჩილელები ყურებჩამოყრილი და მარცხს შეგუებულნი თამაშობდნენ, რადგან თითოეულ გატანილ გოლს უდიდესი ემოციებით გამოხატავდნენ, მაგრამ ფაქტი იყო, რომ ისლანდია გაცილებით დაბალანსებული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდა და მატჩსაც გამარჯვებამდე მშვიდად მიიყვანდა. საბოლოოდ ასეც მოხდა და ისლანდიელებმა 27:22 გაიმარჯვეს.

აუცილებლად აღნიშვნის ღირსია ისლანდიელთა მე-14 ნომერი ტეიტურ ეინარსონი, რომელმაც, პირველი ტურის მსგავსად, მეტოქის კარის აღება ამჯერადაც 10-ჯერ მოახერხა.

საბოლოო ცხრილი:

1.გერმანია	2	2	0	0	76-41	4
2.ისლანდია	2	2	0	0	53-45	4
3.იაპონია	2	1	0	1	54-48	2
4.საქართველო	2	1	0	1	50-54	2
5.ჩილე	2	0	0	2	44-66	0
6.ალჟირი	2	0	0	2	43-65	0

D ჯგუფი

ესპანეთი-ტუნისი 27:24

ტუნისელთა თამაშმა დაადასტურა, რომ აფრიკელთა პირველ ტურში სლოვენიასთან გამარჯვება მთლად სენსაციაც არ ყოფილა. იასინ არფას შეგირდებმა ტურნირის ფავორიტებს ისეთი მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს, გამართლების შემთხვევაში იქნებ არც წაეგოთ. ტუნისელებმა არაფერი დათმეს. მხოლოდ მატჩის ბოლო წუთებზე დაუშვეს ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე უხეში შეცდომა, რამაც განაპირობა კიდეც მატჩის საბოლოო შედეგი.

აფრიკელებმა ტაიმი 12:14 დათმეს, შესვენების შემდეგ პირენეელებმა თამაში უფრო ეშხიანად განაახლეს, მედგრად და გაცილებით აზრიანად შეუტიეს მეტოქეს, რამაც საწყისს წუთებში მათ სოლიდური უპირატესობა მოუტანა. მერე და მერე კი მენდეშ სურეშის ბიჭები მოდუნდნენ. ტუნისელებმაც დრო იხელთეს და ოთხბურთიანი ჩამორჩენა მალევე გააბათილეს. ეგ კი არა, ტუნისელებს დაწინაურებაც შეეძლოთ, მაგრამ ესპანელთა მეკარე ტორეს ერერამ ამ ჯერზეც იყოჩაღა, ურთულესი დარტყმული ბურთები მოიგერია, საპირისპირო კართან კი სამარე დიოკუმ იყოჩაღა და ზედიზედ გაიტანა. ბოლო წუთებზე ტუნისელებმა ერთიც გაიბრძოლეს, მაგრამ აღარაფერი გამოუვიდათ.

სერბეთი-ჩესეთი 24:29

ამ შეხვედრაზე ვერ იტყოდი გამოკვეთილი ფავორიტი ჰყავდაო. რუსეთიც და სერბეთიც ხელბურთში თანაბარი ძალის კატეგორიის გუნდებს განეკუთვნებიან და მოგებულს მიზნამდე დიდი ოფლის ღვრა უხდება.

ასე განვითარდა მოვლენები ამჯერადაც. როგორც მოსალოდნელი იყო ლამაზი კომბინაციებით გაჯერებული მატჩის ნაცვლად ალექსანდრე ანპილოგოვის სახელობის დარბაზში შეკრებილმა მაყურებელმა ცალკეულ ხელბურთელთა ინდივიდუალური ოსტატობა, საკმაოდ უხეში, მაგრამ პირველიდან თითქმის ბოლო წუთამდე დაძაბული შეხვედრა იხილა.

მეორე ტურს სერბები მოგებით, რუსები კი წაგებით შეხვდნენ, თუმცა, თუ ბალკანელებმა აშკარად ჯგუფის აუტსაიდერს სძლიეს, რუსები ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტ ესპანეთთან დამარცხდნენ.

პირველი ტაიმი სერბებმა მინიმალური სხვაობით 14:13 მოიგეს, გასახდელიდან გამოსული რუსები კი მეტოქეზე გაცილებით უკეთ ათამაშდნენ. სამართლიანობისთვის ისიც უნდა ითქვას, რომ სერბებს ფორტუნაც აღარ სწყალობდა და რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი გაანაავეს. 60 წუთის შემდეგ კი ტაბლოზე ანგარიში 29:24 უჩვენებდა რუსეთის სასარგებლოდ.

სლოვენია-მექსიკა 32:19

ტუნისთან მარცხის შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ აფრიკელთა ჯავრს სლოვენია სწორედ მექსიკასთან იყრიდა. ასეც მოხდა. ევროპელებმა მეტოქე 13-ბურთიანი სხვაობით დაამარცხეს, თუმცა, ცოტა რომ მოენდომებინათ, გაცილებით დიდი ანგარიშით დაამარცხებდნენ.

შესვენებამდე მექსიკა კიდევ უძალიანდებოდა მეტოქეს, მერე და მერე კი სლოვენიის უპირატესობა გამოიკვეთა. მექსიკას იმპროვიზაციის უნარი დაქვეითებული ჰქონდა – შეტევაში პასიურობისთვის მათ მსაჯმა ბურთი რამდენჯერმე ჩამოართვა.

აღსანიშნია ისიც, რომ ვისაც არ დაეზარა, გოლი ყველა სლოვენიელმა გაიტანა. 16-კაციანი შემადგენლობიდან 13 იხეირა, ცხადია, მეკარეებს ამის საშუალება არ მისცემიათ. მოკლედ 32:19 სლოვენიის სასარგებლოდ.

საბოლოო ცხრილი:

1.ესპანეთი	2	2	0	0	59-44	4
2.სლოვენია	2	1	0	1	58-48	2
3.სერბეთი	2	1	0	1	53-47	2
4.ტუნისი	2	1	0	1	53-53	2
5.რუსეთი	2	1	0	1	49-56	2
6.მექსიკა	2	0	0	2	37-61	0

18 წლამდე გოგონათა მოგება და წაგება

საქართველოს 18 წლამდე გოგონათა ნაკრებმა, რომელიც საკუთარ ისტორიაში რანგით ყველაზე მაღალი დონის ტურნირში – ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონში ასპარეზობს, პირველი გამარჯვება მოიპოვა. ნინო ყიფშიძისა და ზვიად დიდბარიძის გაწვრთნილმა გუნდმა ჯგუფური ეტაპის მე-4 ტურში შვეიცარიის ნაკრები 7 ქულის სხვაობით – 70:63 დაამარცხა.

ქართველები პირველი პერიოდის შემდეგ 11:16 აგებდნენ და დიდი შესვენებისთვის შვეიცარიელთა 5-ქულიანი ლიდერობა შენარჩუნდა. ჩვენმა გოგონებმა მე-3 პერიოდში თამაშში გარდატეხა შეიტანეს და 10-წუთეულის 20:9 მოგების შემდეგ, გადამწყვეტი მეოთხედის წინ 6 ქულით გალიდერდნენ.

ბოლო პერიოდში ქართველებმა ლიდერობა შეინარჩუნეს და B დივიზიონში პირველ გამარჯვებას მიაღწიეს. ჩვენს ნაკრებს 22 ქულით ნატალია ოთხმეზურმა ულიდერა, რომელმაც 22 ქულა მოაგროვა და ტურნირის ბომბარდირთა შორის პირველი ადგილზეა.

საქართველოს ნაკრები ბოლო ტურში ნორვეგიელების დამარცხების შემთხვევაში 9-16 ადგილებს გაინაღდებენ, მაგრამ დასანანი მარცხი იწვნია. არადა, სოლიდურ უპირატესობას ფლობდა, მაგრამ კარგად დაწყებული საქმე სასურველი შედეგით ვერ დააგვირგვინა.

საქართველოს ნაკრებმა პირველი პერიოდი მეტოქეს 28:7 მოუგო და ცხადია, საერთო საქმის ნახევარზე მეტი გააკეთა. თუმცა მეორე პერიოდიდან ჩვენებს საქმეები აერიათ, სკანდინავიელებმა კი სიზუსტეს უმატეს და დარჩენილი პერიოდები ისე მოიგეს (20:13, 21:12, 21:8) რომ საბოლოოდ 69:61 გაიმარჯვეს.

საქართველოს ნაკრებმა 6-გუნდიან ჯგუფში მე-5 ადგილი დაიკავა და 17-24 ადგილებისთვის ბრძოლაში გადაერთო.

შედეგები

9 აგვისტო

ფეხბურთი

ამხანაგური მატჩი (21)

მოლდოვა-კვიპროსი 2:1

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ჰაიდენჰაიმი-აუე 2:1

ჰოკეი გაზე. ჰიმეიჰა ლიგა

პორტუ-ეშტორილი 4:0

ბენფიკა-ბრაგა 3:1

ჩესეთი. ჰიმეიჩლიგა

ურალი-ზენიტი 1:1

სპარტაკი-არსენალი 2:0

როსტოვი-დინამო 1:0

რუბინი-ლოკომოტივი 1:1

ლოკომოტივის გოლი სოლომონ კვერკველიამ გაიტანა

ტოსნო-ცსკა 1:2

შვეიცარია. სუპერლიგა

ლოზანა-ლუგანო 2:3

სტ.გალენი-ლუცერნი 0:2

იანგ ბოიზი-თუნი 0:4

ფინეთი. ვეიკაუსლიგა

კემი-ილვესი 0:0

ჰიფკი-ვაასა 2:1

გორის დილა კოსმოსიდან ძლიერდება

გორის დილაში 26 წლის განის მოქალაქე კალიფ ალჰასანი ითამაშებს. ალჰასანი ამერიკის საფეხბურთო ლიგის კლუბ იმ ნიუ იორკ კოსმოსიდან გადმოვიდა, რომლის საპატიო პრეზიდენტი ფეხბურთის ლეგენდა ბრაზილიელი პელეა. 1970-80-იან წლებში ნიუ იორკ კოსმოსი განთქმული იყო ხმაურიანი ტრანსფერებით, კლუბში არაერთი სახელოვანი ფეხბურთელი თამაშობდა: პელე, კარლოს ალბერტო, ფრანც ბეკენბაუერი, იოჰან ნეესკენსი, ვლადისლავ ჟმუდა... ბოლო პერიოდში ნიუ იორკ კოსმოსის რიგებში ასპარეზობდნენ მარკოს სენა და ლეგენდარული რაული, რომელმაც კარიერა აღნიშნულ კლუბში დაასრულა.

პროფესიული საფეხბურთო კარიერა ალჰასანმა მშობლიურ ლიბერთი პროფესიონალში დაიწყო 2007 წელს. 2010 წლიდან მან არაერთი სეზონი გაატარა ამერიკის საფეხბურთო უმაღლეს ლიგაში: პორტლანდ ტიმბერზი, მინესოტა იუნაიტედი და ტამპა ბეი რაუდი... ნიუ იორკ კოსმოსში ალჰასანი 2017 წლის დასაწყისში გადავიდა.

კალიფ ალჰასანი შემტევი ნახევარმცველისა და ფორვარდის პოზიციაზე თამაშობს. უთამაშია განის 17-წლამდე და 20-წლამდე ნაკრებში.

დილას ახალწვეულმა მცირე კომენტარი გააკეთა:

– მოხარული ვარ, აქ რომ ვარ. პირველად ვარ საქართველოში. ვეცდები გამოვადგე გუნდს და ერთად მივაღწიოთ იმ შედეგს, რომელიც გუნდს აქვს დასახული.

მოამზადა მისეილ ყორღოლიანმა

გიორგი დათუნაიშვილი: „კრიზისი უნდა დავძლიოთ“

სამტრედიის კაპიტანი გიორგი დათუნაიშვილი საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი და სტაბილური ფეხბურთელია. ძნელი გასახსენებელია სეზონი, მას რომ ჩაეგდოს ან ამა თუ იმ გუნდში კარგი სახელი არ დაეტოვებინოს. დათუნაიშვილი საყრდენი ნახევარმცველია, მაგრამ ხშირად გაუტანია გადამწყვეტი გოლიც.

გაუტანია თბილისის დინამოს კარში და უახლოეს ტურში სწორედ სამტრედია-დინამოა. მოქმედი ჩემპიონი და ახლანდელი მესამეადგილოსანი ერთპიროვნულ ლიდერს 12 აგვისტოს ეროსი მანჯგალაძის სტადიონზე უმასპინძლებს.

დათუნაიშვილს მოახლოებულ მატჩზე და მთლიანად ჩემპიონატზე საუბრობს.

– სატურნირო ცხრილიდან გამომდინარე, თუ დინამოს მოუგებთ, სამეულში ბრძოლა კიდევ უფრო დაიძაბება.

– ამ შემთხვევაში დინამოსთან ჩამორჩენა მხოლოდ 4 ქულა გახდება. თუმცა ყველამ ვიცით, რომ მოგება იოლი არ იქნება. დინამო ნიჭიერი ახალგაზრდებით დაკომპლექტებული გუნდია, ხოლო გიორგი ჩაკვეტაძისნაირი ტალანტი კარგა ხანია, ჩვენს ჩემპიონატში არ გამოჩენილა.

– წინა წრის მატჩი, როცა თბილისში 2:3 წააგეთ, ბევრი გულშემატკივრის აზრით, საუკეთესო იყო მიმდინარე სეზონში.

– მართლა კარგი თამაში იყო და ვეცდებით, ამჯერად მოგებით დავასრულოთ.

– დინამოს კარში საკმაოდ ხშირად გაგაქვთ გოლი. ეს იმიტომ, რომ დინამოა და მის წინააღმდეგ უფრო მოტივირებული ხართ?

– ასე ვერ ვიტყოდი, ყველასთან მოტივირებული გავდივარ მოედანზე. დინამოს კარში კი რატომღაც მართლაც ხშირად გამქონდა. ვიტ ჯორჯიაში თამაშისას ოთხჯერ თუ ხუთჯერ გავუტანე, მათ შორის, თასის ფინალში და სუპერთასზეც. ტორპედოშიც რომ ვიყავი, მაშინაც გადამწყვეტი გოლი შევაგდე. ასევე, ჩიხურაში თამაშისას თასის ფინალში. წინა წრეშიც გავუტანე, სტუმრად თბილისში... ისე, დინამოს სტადიონზე უფრო ხშირად გამაქვს.

– დინამოს ახალგაზრდები ახსენეთ. სამტრედიას რამდენად ნიჭიერი ახალგაზრდები ჰყავს?

– ჩვენს გუნდშიც არიან იმედისმომცემი ახალგაზრდები. ბურკაძე, ხაბეიშვილი, ნინუა – ხანდახან უწევთ თამაში ეროვნულ ლიგაში. მათ ხელშეწყობა სჭირდებათ, რათა განვითარდნენ.

– ჩემპიონატის ფორმატზეც გკითხავთ. რამდენად დადებითად აისახა ლიგაზე 10 გუნდის ოთხ წრედ თამაში?

– დაძაბული თამაშებია. მხოლოდ შუქურა ჩამორჩა, თორემ, სხვა გუნდების დაპირისპირებებს რომ გადავხედოთ, ფავორიტ-აუტსაიდერის წინასწარ გარკვევა ურთულესი საქმეა. წინა ტურშიც ასე მოხდა: ტორპედომ კოლხეთს ვერ მოუგო. 16 გუნდი უმაღლეს ლიგაში მართლაც ბევრი იყო, კარგად მახსოვს, ზოგიერთ კლუბს გზის ფულიც კი არ ჰქონდა. ათგუნდიანი უკეთესია, დაძაბული თამაშებია. კარგია, რომ ჩემპიონატიც შუქდება. მაგრამ ამ ყველაფერს სათამაშო დონეზე ჯერ არ უმოქმედია.

– კითხვა თავისთავად დაიბადა – რატომ?

– ვფიქრობ, წლების განმავლობაში უკან-უკან მიდიოდა საქმე და ეს ყველაფერი 1-2 წელიწადში ვერ შეიცვლებოდა. უბრალოდ, წარმოუდგენელია, ამას უცებ ემოქმედა. ყარაბახს, ვისთანაც მწარედ წავაგეთ, 50 მილიონი დოლარი წლიური ბიუჯეტი აქვს. ეს თითქმის ნახევარია იმ თანხისა, რაც ქართული ფეხბურთის განვითარების პროგრამას 5 წლის განმავლობაში უნდა მოხმარდეს. წლების განმავლობაში ინგრეოდა სტადიონები, უარესდებოდა ინფრასტრუქტურა... ჩემპიონატში ამდენი ხელოვნური მოედანი, თანაც, უხარისხოები. ამიტომაცაა, რომ იმატა ტრავმებმა, ხშირია ჯანმრთელობის პრობლემები. ყარაბახთან ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო თამაშის წინ, ბაქოში მინდორი მორწყეს და ბიჭები ერთმანეთს ვეკითხებოდით – ბოლოს როდის ვითამაშეთ ასეთ მოედანზე? თითქოს დეტალებია, მაგრამ სამწუხაროდ, ასეთი დეტალები ბევრია და ეს მოქმედებს ჩემპიონატზეც. თვითონ კლუბებსაც უნდა მოინდომონ. როგორ მოვა კერძო ინვესტორი, თუ მას არაფერი დაახვედრე? მხოლოდ სახელს ხომ არ იყიდის? ინფრასტრუქტურასაც და ბავშვთა ფეხბურთსაც დიდი ყურადღება სჭირდება. ასე თუ დავძლევთ კრიზისს.

მოამზადა მანეკა ჟორჟოლიანმა

მარადონა მზად არის, მადუროს მხარეს იბრძოლოს

ლეგენდარულმა არგენტინელმა ფეხბურთელმა, 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა დიეგო არმანდო მარადონამ მხარდაჭერა გამოხატა ვენესუელის პრეზიდენტ ნიკოლას მადუროს მიმართ და განაცხადა, რომ მზად არის იბრძოლოს ქვეყნის თავისუფლებისთვის მისი მმართველი რეჟიმის მხარდამხარ. ეს ინფორმაცია თავად არგენტინელმა ფეისბუქში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

– როდესაც მადურო მიბრძანებს, თავისუფალი ვენესუელისთვის ჯარისკაცის ფორმას ჩავიცვამ, რომ შევებრძოლო იმპერიალიზმს და მათ, ვისაც ჩვენი დროშების, ჩვენთვის ყველაზე დიდი სიწმინდის ხელში ჩაგდება სურთ. გაუმარჯოს ჭეშმარიტ ვენესუელელებს და არა იმათ, ვინც მემარჯვენეებს შეეკრა, – დაწერა ფეხბურთელმა. მოგვიანებით მარადონამ საკუთარი განცხადება წაშალა.

აღსანიშნავია, რომ ვენესუელაში მიმდინარე წლის აპრილიდან გრძელდება არეულობა, რომლის მსხვერპლი 100-ზე მეტი ადამიანი გახდა. ეს ყოველივე მადუროსა და ოპოზიციის დაპირისპირების ფონზე ხდება, რომელსაც არჩევნების შემდეგ ქვეყნის პარლამენტში უმრავლესობა ეკუთვნის. კონფლიქტის მიზეზი კი ქვეყნის ღრმა ეკონომიკური კრიზისი გახდა, რაც, თავის მხრივ, მსოფლიოში ნავთობზე ფასების დაცემამ გამოიწვია. ნავთობი ვენესუელის უმთავრეს საექსპორტო პროდუქტს წარმოადგენს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბრიტანელ პოლიციელს შვეულმფრენით ჯაშუშობისთვის პატიმრობა ემუქრება

ბრიტანეთის საუტ-იორკშირის საგრაფოს პოლიციის დეპარტამენტის ყოფილ თანამშრომელს ერთი წლის საპატიმროში გატარება მოუწევს ხალხისთვის თვალთვალის ბრალდებით.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად,

51 წლის ადრიან პოგმორი სამსახურებრივ შვეულმფრენს იმ ადამიანებისთვის სათვალთვალოდ იყენებდა, რომლებიც სექსით იყვნენ დაკავებულნი ან შიშველები ირუჯებოდნენ. აღსანიშნავია, რომ მამაკაცს აღმოუჩინეს ვიდეოჩანაწერები, რომლებზეც, მაგალითად, ადამიანები საკუთარი სახლის ტერიტორიაზე ღია ადგილზე სექსით იყვნენ დაკავებულნი. როგორ იყენებდა მამაკაცი ვიდეოჩანაწერებს, უცნობია.

ბრალდებამ პოგმორს „სექსზე გაგიჟებული ჰაერიდან მოთვალთვალე“ დაარქვა. სამართალდამცავი ორგანოების ყოფილი თანამშრომელი პოლიციელისთვის შეუფერებელ ქცევაში დაადანაშაულეს და სამსახურიდან დაითხოვეს. ამ საქმეზე ასევე დაიკითხა ორი სამართალდამცავი, შვეულმფრენის პილოტები, მაგრამ ისინი უდანაშაულოდ ცნეს. **მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ნანა ნადარეიშვილი: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

ხვიჩა გოგბია: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

მზია დუნდუა: მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

კალიფორნიაში ძაღლების სერფინგში ჩემპიონატი ჩატარდა

ამერიკის კალიფორნიის შტატში ძაღლების სერფინგში ჩემპიონატი ჩატარდა. მისი ამსახველი ვიდეოჩანაწერი ბი-ბისის ტვიტერში, მიკრობლოგში გამოქვეყნდა.

კონკურსის წესებით, მისმა მონაწილემ საცურაო დაფაზე იმდენ ხანს უნდა შეძლოს თავის შემაგრება, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება. ჩემპიონატის ორგანიზატორმა ანდრე კრამპმა აღნიშნა, რომ სერფინგით სრიალის დროს ყველა ძაღლს საკუთარი სტილი აქვს.

აღსანიშნავია, რომ ასეთი ჩემპიონატის გამართვის იდეა მას შემდეგ დაიბადა, როდესაც 2002 წელს ეკრანებზე გამოჩნდა რეჟისორ ჯონ სტოკველის ფილმი „ცისფერი ტალღა“. ფილმის სიუჟეტით მისი გმირი, რომელიც ჰავაიზე ცხოვრობს, სერფინგით თავის ძაღლთან ერთად არის დაკავებული.

ასტროპროგნოზი

11 აგვისტოსთვის

ვერძი – საოჯახო საქმეების მოგვარებას დილიდანვე შეუდექით. ენერგიას ნუ დაზოგავთ. შესაძლოა გეგმები შეგეცვალოთ. **კურო** – დრო რაციონალურად გაანაწილეთ. ვარსკვლავები გმფარველობენ. მთავარია, სითამამე გამოიჩინოთ. **ტყუპები** – მშვენიერი დღეა ცოდნის მისაღებად, პროფესიონალიზმის სრულყოფისათვის. **კირჩხიბი** – თუ დამოუკიდებლად იაზროვნებთ და სხვის გავლენას თავს დააღწევთ, წარმატება არ დააყოვნებს. **ლომი** – პლანეტები კვლავ გაფრთხილებენ: ჯანმრთელობას მიხედეთ. ნუ გარისკავთ. **ქალწული** – საოჯახო საქმეების მოგვარებას დილიდანვე შეუდექით. ენერგიას ნუ დაზოგავთ. შესაძლოა გეგმები შეგეცვალოთ. **სასწორი** – ჰარმონიული დღეა. ფიზიკური დატვირთვა რეკომენდებულია. **ღრიანკალი** – მიმდინარე საქმეების მოგვარება იოლი არ იქნება. მოთმინება გმართებთ. **მშვილდოსანი** – ახალი იდეების რეალიზაცია არასტანდარტული მეთოდებით გიჯობთ. გარისკვა არ ღირს. **თხის რქა** – ახლობლებთან ურთიერთობა რთულდება. ხელმძღვანელობა თქვენი მუშაობით უკმაყოფილოა. **მერწყული** – შეძლებისდაგვარად ერიდეთ ახალ ნაცნობობას. კომერციული საქმიანობა დღეს უნაყოფო იქნება. **თევზები** – სიფრთხილე და წინდახედულობა გმართებთ. მხოლოდ ახლობელ ადამიანებთან კონტაქტით შემოიფარგლეთ.

გისუხვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ქართული ხალხური ქალვაჟის ცეკვა; 2. ქალაქი მესხეთში; 3. იტალიური ლიქიორი; 5. მეცნიერება სიცოცხლისა და ცოცხალი ორგანიზმების განვითარების კანონზომიერების შესახებ; 7. სახელმწიფო ევროპაში; 9. ცოდვათა მიტევება კათოლიკურ ეკლესიაში; 13. საფრანგეთის პრეზიდენტი; 15. ვულკანიდან მაგმას ამოფრქვევის პროცესი; 16. ქართველი კომიკოსი; 18. ჯუზეპე ვერდის ოპერა.

თარაზულად: 4. მოკლელულიანი შაშხანა; 6. ათქვეფილი კვერცხით, ფქვილით, ძმრით მომზადებული ქათმის წვნიანი კერძი; 8. თანდაყოლილი ჭკუასუსტობა; 10. ფრანგული იავნანა; 11. ჩოგბურთის პარტიის ნაწილი; 12. დედამიწის თანამგზავრი; 14. სამხედრო იარაღის მწარმოებელი ქართული ფირმა; 17. აღმოსავლური ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 19. საქართველოში მზარდი ტროპიკული ხე, რომლისგანაც ამზადებენ მაღალხარისხოვან ტექნიკურ ზეთს; 20. ბერიკაობის ერთ-ერთი პერსონაჟი, დევის ნიღაბი; 21. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პერსონაჟი; 22. აჭარული ცეკვა; 23. გერმანული ლუდი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. კოდექსი; 2. ბელუჩი; 3. კაბოშონი; 4. ჩინეჩიტა; 7. კომენტარი; 8. ბარახასი; 12. გრინვიჩი; 14. სილიკოზი; 16. კომიქსი; 17. კრამიტი; 19. ოქმი; 20. ბარი.

თარაზულად: 5. კომუნიკე; 6. ამაშუკელი; 9. სქოლიო; 10. ჩხოუში; 11. ფრუმი; 13. გროგი; 15. აილამა; 18. ზონდი; 21. კონსპექტი; 22. ქუთაისი; 23. ჰიპნოსი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ნოთაობა; 2. დეკანოზი; 3. გრუბერი; 5. კლარჯულა; 7. ეტალონი; 9. ბოტულიზმი; 13. მიკრობი; 15. ტორერო; 16. აფონია; 18. ჭვავი.

თარაზულად: 4. მორიკონე; 6. კვესტურა; 8. პანჩატანტრა; 10. სალხინო; 11. ტარო; 12. ანკერი; 14. ოტელო; 17. რიტმი; 19. ურანი; 20. ენოლოგია; 21. იკაო; 22. ბოგდიხანი; 23. დიაფანი.

სამგლოვიარო განცხადებები

დედა ნელი, მამა გივი ფხაკაძეები, მეუღლე მანანა, შვილები თამარ, გიორგი, შვილიშვილი ელენე, და სოფიო, დისშვილები ანა, მარიამი, სიდედრი გულიკო, ცოლისძმა ზვიად ყიფიანები, მძახლები ნანა, იაგო კაჭარავები, სიძეები გოჩა სიამაშვილი, გივი კაჭარავა, გელა კანდელაკი ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ზურაბ ფხაკაძის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 11, 12 აგვისტოს.

დაკრძალვა: 13 აგვისტოს, 15 საათზე.

მისამართი: სულხან ცინცაძის 5, IV სადარბაზო.

მამუკა ბრეგვაძის მოგონება

პირველი წელი უშენოდ – შენი დაბადების დღე

საყვარელო შვილო, მამუკა, შენ ჩვენი ცხოვრების სიცოცხლე და სამყარო ხარ ამოუცნობი, ცხოვრება გაგვიხადე გაუსაძლისი, გაუხარელი. ჩვენი სევდა და ნატვრა გახდი მიუწვდომელი. გვითხარი, ეგრე გული ვინ გატკინა, მშობლებს ასე რომ მოექეცი? ჩვენი სიცოცხლე ყველა სასჯელზე მეტი სასჯელია. ჩვენთვის ყველა კარი დაკეტილია. საით წავიდეთ, საით გეძიოთ, როგორ ვიცხოვროთ უშენოდ, ამას თუ ცხოვრება ჰქვია. მეხის გავარდნას ჰგავდა შენი სიკვდილი. რამ გაგიჩერა, შვილო, ასე უცებ გული?

შენ ჩვენი ცხოვრება, სიამაყე და იმედი იყავი, ახლა კი ცრემლი და ტკივილი ხარ გაუჩერებელი. რასაც შეეხედავთ, რასაც ხელს მოვკიდებთ, ყველგან შენ ხარ, ჩვენო სითბო და სიხარულო. დამნაშავედ ვგრძნობთ თავს და ვართ, ჩვენ, მშობლები, რომ ვერ მოგხედეთ, ვერ გაგიფრთხილდით, ჩვენო ბობოქარო შვილო. შენ ისეთი ძლიერი იყავი, ჩვენ ასე გვეგონა, მაგრამ როგორი სუსტი ყოფილხარ. ყველაფერი დარეგულირებული მაქვსო, გვეუბნებოდი – აი, სად მიგვიყვანა შენმა დარეგულირებულმა ცხოვრებამ.

ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო. ჩვენი ცხოვრება გაიყინა 2016 წლის 26 სექტემბერს. მაშ, როგორღაა ეს ულმობელი დრო მკურნალი? შენ ყველას დახმარება გიყვარდა და რა მივიღეთ.

შენ უფლის სადიდებლად შექმნილი პიროვნება იყავი, რომელიც ყველაფერს აკეთებს ამ წუთისოფელში, მაგრამ დიდხანს მაინც ვერ ძლებს, იმიტომ, რომ მისი ფასი არ იციან აქ. ჰოდა, გარბის იქ, სადაც თავს იყრის ადამიანის მოდგმა და აი, ახლა იქ ხარ. მაგრამ შენ მაინც ძალიან ჩქარა წახვედი, ჩემო ბობოქარო შვილო. მძიმეა შენი მშობლების ხვედრი, მაგრამ, რას იზამ, უბედობის ბედით ვყოფილვართ დაბადებული შენც და ჩვენც. ნუ ტირიო, მეუბნებიან, მეტირება და ვტირი, შენ მეტი გზა არ დამიტოვე. ჩემს ტირილს, შვილო, განა რამე ძალა აქვს, არა, დედა, მაგრამ, რა ვქნა, შენ არ გეწყინოს.

ახლა შენ მანდ, მე ასე ვფიქრობ, ისვენებ ყველასა და ყველაფრისგან, თქვენს სამყაროში, სადაც მიდიან მშობლების წელზე გამწყვეტი შვილები და უკან აღარ ბრუნდებიან. ტკბილად განისვენე და დაისვენე, ჩვენო იმედო და საყვარელო შვილო, მამუკა. უფალი იყოს შენი მფარველი!

გვიყვარხარ, გვენატრები ძალიან!

შენი ატირებული მშობლები — მერი და შამილ ბრეგვაძეები

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

თენგიზ არჩვაძე 85 წლისაა

ქართული თეატრისა და კინოს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მსახიობი თენგიზ არჩვაძე იუბილარია. მას 85 წელი შეუსრულდა. თენგიზ არჩვაძე მარჯანიშვილის თეატრის მსახიობია და მთელი თავისი ცხოვრება ქართულ კულტურას ემსახურება.

კულტურისადმი სიყვარული დაებედათ მის შთამომავლებსაც, შვილი, ნატო არჩვაძე, მსახიობია, შვილიშვილი ანუკა ქებურია კი – ცნობილი დიზაინერი.

თენგიზ არჩვაძეს თეატრსა და კინოში არაერთი როლი აქვს შესრულებული, რომლებიც მაყურებელს დღემდე ახსოვს და უყვარს. მისი კინოდებიუტი შედგა ფილმში „ერთი ცის ქვეშ“, კინოში კი ჯერჯერობით უკანასკნელად 2003 წელს ითამაშა ფილმში „კიდევ ერთი ქართული ისტორია“. 50-მდე ფილმში მონაწილეობის მიუხედავად, იუბილარი მსახიობის სავიზიტო ბარათად „დათა თუთაშხიაში“ შესრულებული მუშნი ზარანდიას როლი რჩება.

რაც შეეხება თეატრს, თეატრალური ინსტიტუტის დასრულებისთანავე მსახიობმა მუშაობა მარჯანიშვილის თეატრში დაიწყო, მოგვიანებით რუსთავის თეატრში გადავიდა, თუმცა საბოლოოდ ისევ მარჯანიშვილის თეატრში დაბრუნდა.

როგორც იუბილარი მსახიობი ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებს, მისთვის ყველაზე დიდი სატკივარი საქართველო და ქართველებია, განსაკუთრებით კი თბილისში ხეების უმოწყალოდ ჩეხის საკითხი აღელვებს:

– შეიძლება ხვალ აღარ ვიყო, მაგრამ დღეს ჩემს შვილიშვილებსა და მომავალ თაობაზე ვზრუნავ, სულ რაღაცას ვრგავ! ჩემი ყოველი სიტყვა იქნება იმ ხალხის საწინააღმდეგოდ, ვინც ჩემი თბილისი გაჩეხა! თავიანთ სინდისში, გულში ჩაიხედონ, თუ აქვთ... გაიხსენონ: „იას უთხარით ტურფასა“, „ხმელი წიფელი“... თუმცა, ზოგს, ალბათ, არც წაუკითხავს ვაჟა-ფშაველა. ვაჟა თუ კარგად ეცოდინება ადამიანს, ის ხეებს უდიერად აღარ მოეპყრობა! ისე ვნერვიულობ, სულ მაკანკალებს, თბილისი რომ ამ დღეშია. რასაც ვამბობ, ნახევრად გიჟის ნათქვამია ეს სიტყვები. როგორ შეიძლება, შენი ქალაქი ამ დღეში ჩააგდო?! ქვეყანა, რომელმაც ძუძუ გაწოვა! დამარხეს ქალაქი. ვინმემ მიპასუხოს, რატომ გაიჩეხა ვაკის პარკი? არნახული ხეივნები იყო იქ... ქართული სული, საქართველო და სიმწვანე ერთდროულად ამოძირკვეს!

ანსამბლმა „გვირილამ“ იტალიასა და ჩინეთში გრანპრი მოიპოვა

ანსამბლმა გვირილამ და მისმა პატარა მომღერლებმა იტალიასა და ჩინეთში გამართულ სიმღერის საერთაშორისო კონკურსებში გაიმარჯვეს და გრანპრი მოიპოვეს.

ინფორმაცია ამის შესახებ ანსამბლის ხელმძღვანელმა ერნა წიფურიამ გაავრცელა:

– ანსამბლი „გვირილა“ იმყოფებოდა იტალიაში, ქალაქ რიმინიში, სადაც წარმატებულად მიიღო მონაწილეობა მუსიკის საერთაშორისო ფესტივალში. ფესტივალი ჩატარდა მერიის პატრონაჟით. მინდა მივულოცო დიდი გამარჯვება გვირილელებს – ბარბარე ჯინჭარაძეს, ანი ჩაგუნავას, მაგდა ვაჩეიშვილს, მარიამ მელიქიძეს, სალომე ჭიკაძეს, თეკლა ბარნოვს, ანი ბლიაძეს, ნატალი ძულიაშვილს, ნანუკა მელუას. მათ ასახელეს საქართველო, საერთო სიმღერაში გრანპრი მოიპოვეს.

ანსამბლ გვირილას წარმატება ამით არ დასრულებულა. გვირილელმა ლუკა კაჭარავამ გრანპრი მოიპოვა ჩინეთში, ქალაქ პეკინში გამართულ სიმღერის საერთაშორისო კონკურსში. ვულოცავ ამ ნიჭიერ ბავშვებს დიდ წარმატებას და თითოეული მათგანი მეამაყება.

ზუგდიდის თეატრის შენობის რეკონსტრუქცია იწყება

ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის თეატრის რეკონსტრუქცია იწყება. თეატრის შენობა, რომელიც მომავალ წელს დაარსებიდან 150 წლის იუბილეს აღნიშნავს, უმძიმეს მდგომარეობაშია. იმის გამო, რომ შენობაში ყოფნა სახიფათოა, უკვე დიდი ხანია, დასი სპექტაკლებს აღარ თამაშობს.

ზუგდიდის თეატრისთვის მთლიანობაში 10 მილიონ ლარამდე დაიხარჯება. 1.800.000 ლარი გამაგრებითი სამუშაოებისთვის არის განსაზღვრული, შენობის აღდგენის პროექტის ღირებულება კი 8.100.000-ს შეადგენს.

როგორც ზუგდიდის თეატრის ხელმძღვანელმა ზურაბ ეგუტიამ ჟურნალისტებს განუცხადა, ამ თანხიდან 4 მილიონი სცენის მოსაწყობად იქნება საჭირო, მათ შორის განათება-გახმოვანებისა და აკუსტიკისთვის. შენობა უახლესი ტექნიკით აღიჭურვება.

– 4 ათას 300 კვადრატული მეტრი იქნება თეატრი. მისი ფართობი თითქმის ორმაგდება. თუ არის ორსართულიანი, გახდება ოთხსართულიანი. აქ იქნება ყველაფერი – სადეკორაციო, სამკერვალო, სტილისტი, საგრიმიორო, სადურგლო, სახელოსნოები, ასევე ორი კაფე და დიდი საკონფერენციო დარბაზი. ახალ თეატრში იქნება ყველაფერი, თუ რამ არსებობს და საჭიროა.

რეკონსტრუირებულ შენობაში ორი სცენა მოეწყობა, ერთი – უკვე არსებულზე ცოტათი დიდი, მეორე კი – მცირე, 150 ადამიანზე გათვლილი.

სარემონტო სამუშაოები უახლოეს კვირებში დაიწყება და ის დაახლოებით ორ წელიწადს გასტანს.

სარემონტო სამუშაოების დასრულებამდე დასი ზუგდიდის ბაზრის წინ მდებარე კულტურის სახლში გადავა, ადმინისტრაცია კი სოციალური მომსახურების სააგენტოს შენობის მესამე სართულზე იფუნქციონირებს:

– მერიას მივმართეთ წერილით და დაგვეხმარა. კულტურის სახლიც გვერდში დაგვიდგა და გვითხრა, ყველანაირად დაგეხმარებითო, გადმოგვცა სცენა, სადეკორაციოები. სველი წერტილებია გასარემონტებელი. მერიამ გვითხრა, ამასაც ჩვენ გავაკეთებთო. ადმინისტრაცია განკუთვნილ შენობაში მალევე გადავალთ, კულტურის სახლში კი, როგორც კი აქ შემოვა „ქართუ“, დავიწყებთ სცენისა და ყველაფრის გადატანას, – განაცხადა ზურაბ ეგუტიამ.

მისივე ინფორმაციით, ზუგდიდის თეატრის სტუდიის 5 ახალგაზრდა ბათუმის თეატრალურ უნივერსიტეტში ჩაირიცხა, რომელთა დაფინანსებასაც მერია იღებს საკუთარ თავზე.

რაც შეეხება ახალ სპექტაკლს ზუგდიდის თეატრის რეპერტუარში, ამ თვეში ზუგდიდში რეჟისორი გოგა თავაძე ჩავა. დასი და რეჟისორი რამდენიმე ვარიანტიდან ერთი თემატიკის დადგმაზე შეჯერდებიან და სწორედ ამ სპექტაკლით ზუგდიდის თეატრი ახალ სეზონს გახსნის.

მექსიკური ხელოვნება თბილისშია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი. მისი ნამუშევრები გამოირჩევა ქრომატიზმით, ექსპრესიონიზმითა და არაფორმალურობით. მისი გრაფიკული ფანტაზია ხშირად წააგავს კომიქსს. გუნტენის შემოქმედება გამოირჩევა დამახასიათებელი იუმორით, რომლითაც ის ეხმიანება მსოფლიოს დაძაბულობასა და კონფლიქტებს. მისი შემოქმედება ერთგვარი პროტესტია, რომელიც ინტენსიური ფერებითა და გამოკვეთილი კონტურებით გამოიხატება.

გუნტენის ნამუშევრები მისი ცხოვრების ანარეკლია, ტეოფობლანი, მწვანე გარემო სადაც ის მოღვაწეობს, მისი არსებობის ჰიმნია. აქ არტისტი თავისუფლდება იკონოგრაფიული სამყაროსგან და მჭიდრო კავშირშია ფლორასა და ფაუნასთან. ეს ჰარმონიული თანაარსებობა მის შემოქმედებაში ფანტასტიკურად არის წარმოდგენილი და ქმნის ჯადოსნურ-სიმბოლურ სამყაროს.

გუნტენის თითოეული ნამუშევარი წარმოადგენს პოსტმოდერნიზმის პარადოქსს, სადაც გამოსახულება ავსებს შინაარსს და მაყურებელი საკუთარი მეხსიერების საშუალებით ხელს უწყობს სურათის პლასტიკურ რეკონსტრუქციას. შეიძლება ითქვას, რომ როჯერ ვონ გუნტენის ნამუშევრები მნახველის მიერ ფიქციის ერთგვარ რეკრეაციას წარმოადგენს.

ხელოვნების მუზეუმში წარმოდგენილი გამოფენა საქართველოსა და მექსიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25 წლის იუბილეს ეძღვნება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

პროგრამა

პარასკევი 11 აგვისტო

06.00 მუსიკა პირველზე **06.30** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **09.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. **"წინ" წარმატებისკენ" 10.10, 03.00** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. **"ჩენტრო ვეტერინე" 12.30** "საუკუნის პორტრეტები" **13.20, 04.00** დღის მხ/ფ **"ჯენტლმენებს ჟერა ქალები მოსწონთ"** (მ.მონრო) **15.00, 05.35** დოკ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" **16.00** "მოამბე" **16.15** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **17.00** ტ/სერ. **"ოფისი" 18.00 ქალამბურთი.** თბილისის მერიის ტრადიციული ტურნირი. **საქართველო – ჩეხეთი 20.40** "სპორტის დაფა" **21.00** ტ/სერ. **"ცბიერი მოახლეები" 22.00** ტ/სერ. **"მთავრობა" 23.00** მხ/ფ **"ქალაუფლებიან თამაში"** (ბ.აფლეკი) **01.10** მხ/ფ **"უცხო არსება"** (კ. რასელი)

ტექნიკური მიზეზების გამო არხის პროგრამას ვერ ქთავაზობთ.

07.00, 14.40 სერ. **"ელიფი" 08.00, 16.00** სერ. **"ოჯახური პორტრეტი" 4-5** სერ. **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.50** ქრონიკა **09.20** სერ. **"პატარძალი" 11.20** სერ. **"ფიცი" 12.30** სერ. **"ღირსების სახელით" 10** სერ. **17.35** სერ. **"ხაფანგი" 18.45, 19.03** სერ. **"მოპარული ცხოვრება" 21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. **"ძმა" 22.30** სერ. **"ელ პრინსიპე" 3** სერ. **00.00** მხ/ფ **"უწმინდურები" 01.35** მხ/ფ **"აბა" დამიჭირე" 05.05** მხ/ფ **"ვერსალის ბაღები"**

05.30, 18.45 სერ. **"კაცი" 06.30, 19.45, 20.03** სერ. **"დესპოტი ძმარი" 07.30** მხ/ფ **09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **09.10** სერ. **"დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა" 10.15** სერ. **"მფარველი ანგელოზი" 12.30** სერ. **"ვარსკვლავის დაბადება" 13.55** სერ. **"ფერიპას საიდუმლო" 15.30** სერ. **"წარსულის ჩრდილი" 16.55** სერ. **"დაპარგული ბღები" 20.50** ლოტო **22.00** ვანოს შოუ - ბესტი სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"**

08.00 ან/ფ "ავატარი" **09.00** სერ. **"მონკი 4" 12.00, 21.00** სერ. **"კრიმინალური რომანი" 13.00** სერ. **"ძვლები" 17.00** სერ. **"ინტერესის ობიექტი 5" 19.00** სერ. **"ბრეის ანატომია 13" 22.30** მხ/ფ **"ტკბილი ნოემბერი" 00.50** მხ/ფ **"შუშაკის ადვოკატი" 03.30** მხ/ფ **"მკვდარი პოეტების საზოგადოება" 05.55** მხ/ფ **"იღბლიანი"**

08.00 ანანდა **08.15** მულტფილმი **08.30** სერ. **"ღმერთების ხელდასხმული" 09.20** მულტ/სერ. "სისი" **09.50, 22.40** სერ. **"სიყვარულსა და შიშს შორის" 10.40, 13.40, 14.40, 17.40, 21.25, 22.35** ტელემარკეტი **11.00, 14.00, 17.00, 17.55, 19.00, 23.30, 02.20** ახალი ამბები **11.20** დოკ/ფ "როდოსი" **11.50, 1.30** მოდი გავიყაროთ **12.40** ბენეფისი **14.30, 19.55** მე რომ ვიყო **15.00** სერ. **"ბანდლერა" 18.00, 03.00** ღია სტუდია **20.00** სერ. **"ფორილის ომი" 21.30** რატის ბლოგი **22.00** სინემანი **0.00** მხ/ფ **"რობოსაპიენსი" 04.00** სერ. **"რაუ"**

06.15 კვირიაკე **07.10** დ/ფ "ველური ბუნება-რატომ დაიღუპნენ სელაპები" **07.35** საქართველოს ქალაქები-"ბათუმი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს. პაუზა **08.40** თბილისის ტაძრები-"წმინდა ნიკოლოზის ტაძარი ნარიყალა" **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.20** მხ/ფ **"ენი მწვანე სახურავების მაგულიდან" 11.10** "მსოფლიო საგანძური"-ნანცი, სტანისლასის მოედნები **11.20** "ერთსულოვანი ოჯახი"-ნემსაძეები **12.10** მხ/ფ **"ფირფიტები"** (გამარჯობა ყველას) **13.30** "შუადღის სტუმარი" მღვდელი იაკობ ჩიჩილიძე-ოჯახის შექმნა თუ სამონაზვნო ცხოვრება **13.50** "შუადღის სტუმარი"-ხელნაკეთობის ოსტატი გურანდა ორჯონიკიძე **14.30** შარავანდედი-სულხან-საბა ორბელიანი, წმ. მეფე სოლომონ II **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.20** ოპერა **18.15** არის ასეთი ქვეყანა, მას საქართველო ჰქვია...გორი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00** მხ/ფ **"ჯუკარანა" 19.25** ჩვენი ამბავი "დღვით გურამიშვილი" **20.40** ძილი ნებისა "სამი მტევანი ყურძენი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** დროის ჩანაწერები "ჩვენი თაობის სევდიანი აკორდი" **22.10** დეკორატიული ფლორა "აგლაუნემა კომუტატუმი" **22.25** მოგზაურობა სამშობლოში "ოძრახისის სამკვიდრო ზანავი, ჭულე, ზარზმა" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** გაცოცხლებური წარსული "ბასიანი" **23.45** ივერიის ეკლესია "კონსტანტინოპოლის მხრიდან ავტოკეფალიის აღიარება" **00.10** მგზავრები წუთისოფლისა **01.00** მხ/ფ **"პასტრალი"**

მაესტრო **08.00 - 03.00** ახალი ამბები (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.15 - 02.15** სპორტი (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.30- 02.30** ახალი ამბები მსოფლიო (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.00, 10.00, 13.00, 19.00, 23.00, 01.00** ბიზნესი **21.00** მთავარი გამოშვება

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

11 აგვისტოსთვის

აშშ დოლარი — 2.3902

ევრო — 2.8066

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1099

100 რუსული რუბლი — 3.9884

ამინდის პროგნოზი 11 აგვისტოსთვის

1 აგვისტოდან

ქართული დეტექტივი მე-15 ტომი

მაია ბურჭულაძე

უფასო ბილეთი წარსულში

ორშაბათის სიზმარი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

20 ივლისიდან

შიო გვეტაძე

მონანიება

ქართული დეტექტივი მე-14 ტომი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

იუმორი

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– გაუმარჯოს! სად მუშაობ?

– არსად!

– აბა რას აკეთებ?

– არაფერს!

– კარგი საქმიანობა გქონია!

– ჰო, მაგრამ კონკურენტებმა შემაწუხეს!

●●●

კონკია პრინცს ეუბნება:

– ფეხსაცმელი მომერგო და ქორწილი როდის იქნება?

– ეს ნახევარფინალი იყო. ახლა ხუთი ნომერი ბიუსჰალტერი უნდა მოგაზომო.

●●●

დილით ცოლი ქმარს ეუბნება:

– წუხელის ძილში ლაპარაკობდი.

– იმედი მაქვს, სიტყვას არ გაწყვეტინებდი?

●●●

ექიმი ქალს ამშობიარებს, რომელმაც ტყუპები უნდა გააჩინოს. პირველი ბავშვი უპრობლემოდ დაიბადა. ექიმმა ჩვილი ხელში აიყვანა და უკანალზე ხელი მსუბუქად შემოარტყა, ახალდაბადებული ატირდა. აი, მეორე ბავშვი კი არაფრით გამოდის. გავიდა ერთი საათი, ორი... ექიმი ექთანს ეუბნება:

– წავალ, ვისადილებ და შენ ყურადღებით იყავი.

ექიმი წავიდა თუ არა, ექთანი ხედავს, რომ მეორე ბავშვის ხელი გამოჩნდა და ახლოს მისვლას ანიშნებს. ექთანი მიუახლოვდა. ამ დროს ბავშვის თავი გამოჩნდა და ჩურჩულით ეკითხება:

– ის შობელძაღლი, უკანალზე ხელს რომ უტყაპუნებს, წავიდა?

●●●

ქმარი ახალშერთულ ცოლს ეუბნება:

– ძვირფასო, მე ჩვენი ქორწილის ხარჯები დავიანგარიშე და შენი მზითვის ღირებულებას შევადარე...

– მერე?

– გამოდის, რომ სიყვარულით შეგირთე ცოლად.

●●●

პატარძალი საქმროს ეუბნება:

– ქორწილის შემდეგ უფლებას მოგცემ იქ მაკოცო, სადაც ჩემთვის ჯერ არავის უკოცნია.

– და ეგ რა ადგილია?

– ჰავაიზე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სერია „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო – 100 წიგნი“ გრძელდება

10 აგვისტოდან ტომი 50 პინოჩეტი



ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

17 აგვისტოდან ტომი 51 იულიუს კეისარი



ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

24 აგვისტოდან ტომი 52 ლინკოლნი



ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

ბათუმის ჯაზფესტივალით ევრონიუსი დაინტერესდა

ბათუმის ჯაზფესტივალით მსოფლიოს ერთ-ერთი გავლენიანი ტელეკომპანია ევრონიუსი დაინტერესდა. ერთ-ერთ გადაცემაში ტელეკომპანიამ საქართველოს შავიზღვისპირეთში ჩატარებულ ფესტივალს ვრცელი სიუჟეტი მიუძღვნა. წელს შავი ზღვის ჯაზფესტივალს მსოფლიოში აღიარებული ვარსკვლავები სტუმრობდნენ, თუმცა მთავარი მოვლენა მაინც ჯემიროქუაის კონცერტი იყო, რომელმაც ფესტივალის გახსნაზე იმღერა.

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა ევრონიუსთან კონტრაქტი გააფორმა, რომლის თანახმადაც, ეს სიუჟეტი მომზადდა. ამავე კონტრაქტის თანახმად, დაიგეგმა ევრონიუსის მიერ კიდევ ერთი გადაცემის მომზადება, რომელშიც აქცენტი მთლიანად ბათუმსა და საქართველოს ტურისტულ პოტენციალზე გაკეთდება.

როგორც აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარე სულხან ღლონტმა ჟურნალისტებს განუცხადა, „ჩვენი ქვეყნის პოზიტიური იმიჯისა და ზოგადად ტურიზმის პოპულარიზაციისთვის უმნიშვნელოვანესია ისეთი პოპულარული სატელევიზიო პლატფორმების გამოყენება, როგორიც ევრონიუსია. ეს კონკრეტული კონტრაქტი სექტემბრის პირველ ნახევრამდე გაგრძელდება. იგი მოიცავს როგორც სარეკლამო რგოლების გაშვებას, ასევე რეგიონის შესახებ რეპორტაჟების მომზადებას.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი სარეკლამო კამპანიას ევრონიუსის ეთერში ივლისის დასაწყისიდან აწარმოებს.

მოამზადა ეკა არეშაშვილმა

მაღაზიის გამყიდველებმა შეიარაღებული თავდასხმა მოიგერიეს

ამერიკის ტეხასის შტატის ქალაქ არლინგტონში მაღაზიის მფლობელმა და მისმა თანამშრომელმა წინააღმდეგობა გაუწიეს ორ შეიარაღებულ მამაკაცს, რომლებიც შეეცადნენ, სალაროდან ფული წაეღოთ. შეხლა-შემოხლის შედეგად ბოროტმოქმედები გაიქცნენ.

მაღაზიაში დაყენებული სათვალთვალო კამერის მიერ გადაღებული ვიდეოჩანაწერი ტვიტერში ერთ-ერთი ადგილობრივი ტელეარხის მიკრობლოგში გამოქვეყნდა. ერთ დღეში ვიდეორგოლმა 500-მდე მოწონება მიიღო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

რუსკა მაყაშვილი და ვანიკო თარხნიშვილი იმედზე გადავიდნენ



მსახიობები რუსკა მაყაშვილი და ვანიკო თარხნიშვილი ტელეკომპანია „იმედში“ გადავიდნენ.

მას შემდეგ, რაც რუსთავი 2-მა გადაცემა „იღბლიანი ბორბალი“ დახურა, ვანიკო თარხნიშვილი მხოლოდ „ნიჭიერისა“ და „იქს ფაქტორის“ წამყვანი იყო.

მოგვიანებით პროდიუსერებმა გიორგი ხაბურზანიამ და დემნა ჯაფარიძემ ტელეკომპანია რუსთავი 2 დატოვეს და „ნიჭიერი“ ტელეკომპანია „იმედში“ გადაიტანეს.

რუსთავი 2-ის გენერალურმა დირექტორმა გიორგი ხაბურზანიას მოუწოდა, დეკორატორები მაინც დაეტოვებინა რუსთავი 2-ში და ყველა „იმედში“ არ გადაებირებინა.

„ნიჭიერმა“ საქართველოს მასშტაბით შესარჩევი ტურები უკვე დაიწყო. კონკურსში მონაწილეობისა და საკუთარი ნიჭის გამოვლენისკენ მსურველებს პროექტის წამყვანებმა რუსკა მაყაშვილმა და ვანიკო თარხნიშვილმაც მოუწოდეს. მათ სპეციალური ვიდეომიმართვები გაავრცელეს. რუსკასა და ვანიკოს „იმედში“ გადასვლას მაყურებელი კრიტიკულად შეხვდა და მათ ფულის მონები უწოდა.

მექსიკური ხელოვნება თბილისშია

თანამედროვე მექსიკელი არტისტის როჯერ ვონ გუნტენის ხელოვნება თბილისშია. მისი ნამუშევრების გამოფენა, სახელწოდებით „ედემი“, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმშია წარმოდგენილი.

გამოფენა მოიცავს სხვადასხვა მედიაში შესრულებულ ნამუშევრებს და წარმოადგენს ერთგვარ მოგზაურობას როჯერ ვონ გუნტენის ვიზუალურ სამყაროში.

როჯერ ვან გუნტენი არის პოსტმოდერნიზმში გარდამავალი პერიოდის მექსიკელ ხელოვანთა გაერთიანების, „განხეთქილების“

გაგრძელება მე-11 გვერდზე

ჯოსვოხდი ა

შვეულად: 1. უბანი ძველ თბილისში; 2. ღვთაების ხატის სადიდებელი გუნდური სიმღერა საეკლესიო დღესასწაულების დროს; 3. მონასტერი რაჭაში; 4. ქართული მალამო; 7. პოპულარული ჰოლანდიური ლუდი; 8. კოსმოდრომი იაპონიაში; 12. რომელიმე გეოგრაფიული ადგილის სახელწოდება; 14. ფრანგული საავტომობილო კომპანია; 16. ირმის ტყავებით შეფუთული ჩუქების ქოხი; 17. ჰიდროტექნიკური ნაგებობა მდინარეზე; 19. ირლანდიის ისტორიული სახელწოდება; 20. მექსიკელი მოქანდაკე ქალი.

თარაზულად: 5. ფრანგი მოქანდაკე, ნიუ იორკში თავისუფლების ქანდაკების ავტორი; 6. ფედერიკო ფელინის მხატვრული ფილმი; 9. საქადაგოდ გამოყენებული ფერადი ძაფი; 10. მე-18 საუკუნის ქართველი დიპლომატი, პოეტი; 11. მთავარი ქუჩა ტოკიოში; 13. ამერიკული საავტომობილო კონცერნი; 15. ქორწინების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 18. რაიონული ცენტრი აზერბაიჯანში; 21. ქართველი ესტრადის მომღერალი მამაკაცი; 22. სიახლის შეტანა რაიმე საქმეში; 23. ბეისბოლისტის ერთ-ერთი ამპლუა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა